პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცა კის ორგანო

№ 23 (5124) | შაბათი, 29 იანვარი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გეგმა („პრავდის“ მოწინავე 1-ლი გვ.).

ამხ. მ. მ. ლიტვინოვის სიტყვა ერთა ლიგის საბჭოს მე-100 სესიაზე (1-ლი გვ.).

1938 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმის შესახებ. — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება (1-ლი გვ.).

მივაღწიოთ სწრაფ და გადამწყვეტ გარდატეხას რემონტის ტემპებში (მე-3 გვ.).

ლენინის წინასწარდასახულობანი განხორციელებულია — ამხ. ა. ა. ჟდანოვის მოხსენება 1938 წლის 21 იანვარს [illegible] თეატრში ვ. ი. ლენინის გარდაცვალების თოთხმეტი [illegible] წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმიან - სამგლოვიარო სხდომაზე. (მე-2 და მე-3 გვ.).

უცხოეთში:

რესპუბლიკელთა ჯარებმა კვლავ აიღეს ხელში საბრძოლო მოქმედებათა ინიციატივა. (მე-4 გვ.).

მე-8 არმიის ბრწყინვალე წარმატებანი ჩრდილოეთ ჩინეთში (მე-4 გვ.).

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გეგმა

1937 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს. მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურათა მოსავალმა დიდად გადააჭარბა ყველაზე მაღალ მოსავალს, რომელიც კი მიუღიათ მეფის რუსეთში ყველაზე ხელსაყრელ წლებში. ეს გამარჯვება შედეგია პარტიისა და მთავრობის შეუსუსტებელი ზრუნვისა სოციალისტურ სოფლის მეურნეობაზე, მის ტექნიკურ შეიარაღებაზე, კადრების გაზრდაზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საორგანიზაციო და სამეურნეო განმტკიცებაზე.

1938 წელში კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შედიან გამოცდილებით გამდიდრებულნი, კიდევ უფრო რთული ამოცანების გადაჭრის უნარის მქონენი. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება **„1938 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმის შესახებ“**, რომელიც დღეს ქვეყნდება, სრულად ასახავს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ამ გაზრდილ შესაძლებლობებს. მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმა არსებითად განსხვავდება წინა წლების გეგმებისაგან. **მისი თავისებურება უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ ეს გეგმა ერთდროულად განსაზღვრავს დავალებებს ყველა უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დარგში მთელი წლით.** წარსულ წლებში კი საგაზაფხულო თესვისა და საანეულო ხვნის გეგმის, საშემოდგომო თესვისა და მზრალად ხვნის გეგმის მოცემა ხდებოდა ცალცალკე, სხვადასხვა დროს.

დაგეგმვის ახალი წესი ცხადჰყოფს, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები იმდენად განმტკიცდნენ ორგანიზაციულად და მეურნეობრივად, რომ შესაძლებელი გახდა სამუშაოს დაგეგმვა მთელი წლით წინ. ეს საშუალებას აძლევს კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს ისე ააგონ სამუშაოები, რომ რაც შეიძლება მეტი ეფექტით გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი და მიაღწიონ საუკეთესო შედეგებს. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წლიური გეგმა სერიოზულად ურტყამს იმ ცალკეულ ხელმძღვანელთა დოყლაპიობას, გულგრილობას, წვრილბურჟუაზიულ თავაშვებულობას, რომლებიც გეგმების არა თავის დროზე მიღების დამოწმებით ამართლებდნენ თავისი მუშაობის ნაკლოვანებებს. კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სამიწათმოქმედო ორგანოები ახლა ვალდებული იქნებიან გვიჩვენონ, თუ რამდენად ნამდვილად შესწევთ უნარი უხელმძღვანელონ უდიდეს, საუცხოოდ შეიარაღებულ მეურნეობას.

1938 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმას მეორე არსებითი განსხვავებაც აქვს წარსული წლების გეგმებისაგან. მიმდინარე წელს ნათესი ფართობების მნიშვნელოვან საერთო გადიდებასთან ერთად რამდენადმე მცირდება მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი—დაახლოვებით 3 მილიონი ჰექტარით. ჩვენმა ქვეყანამ წარმატებით გადასჭრა მარცვლეულის პრობლემა. ჩვენ ამჟამად იმდენი პური მოგვყავს, რამდენიც მეფის რუსეთს არასოდეს არ მოუყვანია. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უშუალოდ მივიდნენ იმ ამოცანის გადაჭრასთან, რომელიც ამხანაგმა სტალინმა ამ ორი წლის წინათ დაგვისახა,—მივიღოთ ყოველწლიურად 7-8 მილიარდი ფუთი მარცვალი. ჩვენ ამჟამად მოგვეპოვება ყველა შესაძლებლობა გავადიდოთ მარცვლის პროდუქცია მოსავლიანობის ამაღლების ხარჯზე, და არა მარცვლეულ კულტურათა ნათესების გაფართოვების გზით, როგორც ეს იყო კოლექტივიზაციის დასაწყის პერიოდში.

ჩვენ ამჟამად ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება მკვეთრად და გადაჭრით დავსვათ არა მარტო მარცვლეულის, არამედ უკლებლივ ყველა სხვა კულტურის მოსავლიანობის ამაღლების საკითხი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკვები კულტურების სწრაფ განვითარებას, რომელთა ნათესი ფართობი წელს დიდდება. ამით მტკიცდება სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი ზრდის ბაზა.

სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებს ბოსტნეულისა და ბაღჩის კულტურების ფართობის გადიდებასაც, პირველ რიგში აღმოსავლეთ რაიონებში—ჩელიაბინსკისა და სვერდლოვსკის ოლქებსა და შორეულ-აღმოსავლეთის მხარეში. ეს საშუალებას მისცემს დასახელებულ რაიონებს უზრუნველჰყონ თავისი მოთხოვნილებანი ადგილობრივი ნათესების ხარჯზე.

საერთო ცვლილებებმა, ნათესი ფართობების სტრუქტურაში ხელი უნდა შეუწყონ **სწორ თესლბრუნვათა შემოღებას**, რომელთა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია. ადგილობრივი ორგანიზაციების წინაშე დგას უაღრესად პასუხსაგები ამოცანა: თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისათვის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის განსაზღვრისას, ზუსტად გაითვალისწინონ თვითეული მეურნეობის თავისებურებანი, შემოღებული ან შემოსაღები თესლბრუნვები. ადგილობრივი ორგანიზაციები ვალდებული არიან არა უგვიანეს 15 თებერვლისა დაიყვანონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმა საბჭოთა მეურნეობებამდე, კოლმეურნეობებამდე და ერთპიროვნულ მეურნეობებამდე.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მოგვცა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, „რათა ისეთ უმნიშვნელოვანეს საქმეში, როგორიცაა კოლმეურნეობებამდე გეგმის დაყვანა, რომელიც ეხება მშრომელთა ფართო მასების უშუალო ინტერესებს, ადგილი არ ექნეს ადმინისტრირებით გატაცებას და კოლმეურნეთა წინადადებების, მითითებებისა და მოთხოვნების უგულებელყოფას. დაწესდეს, რომ რაიაღმასკომების პრეზიდიუმების სხდომებზე, კოლმეურნეობათა გეგმების დამტკიცების დროს, აუცილებლად უნდა დაესწრონ სათანადო კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები“.

სახალხო კომისართა საბჭოს ამ მითითების უდიდესი მნიშვნელობა სავსებით ცხადია, მხოლოდ პირწავარდნილ ბიუროკრატებს შეუძლიათ ვერ გაიგონ, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა მასებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების გამოცდილების გათვალისწინებას. სოფლის საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა ამჟამად განსაკუთრებით მაღალია. მილიონობით ადამიანები ზრუნავენ ამჟამად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მოსავლიანობის შემდგომ გადიდებაზე, 1938 წელში სარეკორდო მოსავლის უზრუნველყოფაზე. 1938 წლისათვის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმის მთავარი ხაზია—უზრუნველყოფილ იქნას მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უფრო დიდი მატება, ვიდრე 1937 წელს, მთლიანად გადაჭრილ იქნას ამოცანა ყოველწლიურად 7-8 მილიარდი ფუთი მარცვლეულის წარმოებისა. ეს ხაზი მთლიანად თანხვდება ყველა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მისწრაფებებს.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სამიწათმოქმედო ორგანოები მოვალენი არიან სათავეში ჩაუდგნენ მასების აქტივობას. ასეთ ამოცანას ისინი თავს გაართმევენ იმ შემთხვევაში, თუ მასებში ფართოდ გაშლიან პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, თუ ნამდვილად მოჰკიდებენ ხელს **სოციალისტური შეჯიბრების მოწყობას.** საჭიროა გვახსოვდეს ამხანაგი სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ: „...თვით სამეურნეო წარმატებანი, მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებებზე, რომ ამ პირობის გარეშე სამეურნეო წარმატებანი შეიძლება ქვიშაზე აგებული აღმოჩნდნენ“.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შარშანდელმა წარმატებებმა ზოგიერთებს თავბრუ დაახვია. თავი იჩინა თვითდამშვიდებამ. მთელ რიგ ადგილებში გამომჟღავნება იწყო სოფლის მეურნეობის კონკრეტულ ხელმძღვანელობაზე ხელისაღების ტენდენციებმა.

სამიწათმოქმედო სისტემას ახლა შეემატა ახალი, ახალგაზრდა ძალები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე ადამიანებისაგან. მაგრამ სამიწათმოქმედო სისტემის განმტკიცების დარგში მუშაობა ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის დამთავრებული, მაშასადამე, „სანამ ეს არ გაკეთებულა, პარტიულ ორგანიზაციებს კვლავაც დასჭირდებათ, განსაზღვრული მოკლე ვადის მანძილზე, უშუალოდ იმუშაონ სასოფლო-სამეურნეო საქმეებზე მთელი მათი წვრილმანებით, ხვნით, თესვით, მოსავლის აღებით და სხვ“.

ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, ყველა სამიწათმოქმედო ორგანოები მოვალენი არიან ახსოვდეთ ამხანაგ სტალინის ეს სიტყვები. საგაზაფხულო თესვისათვის მზადება ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. სატრაქტორო პარკი შეკეთებული არ არის. სათესლე ფონდი ჯერ კიდევ ყველგან არ არის მომზადებული.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაგვავალა:

„...დაუყოვნებლივ ლიკვიდირებულ იქნას საგაზაფხულო თესვისათვის სათესლე ფონდის მომზადებაში—თესლის შეგროვებაში, საჭირო ჯიშების გაწმენდასა და შერჩევაში, ჩვეულებრივი მარცვლის ჯიშიან მარცვალზე გადაცვლაში და სხვ.—არსებული დაუშვებელი ჩამორჩენა.

...უზრუნველყოფილ იქნას სათესლე მასალის გულმოდგინედ გაწმენდა, მისი ფრთხილად შენახვა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ჯიშიან ნათესთა გეგმის შესრულება...“

თესვის სამუშაოთა დაწყებამდე დარჩენილი მოკლე დრო გამოყენებულ უნდა იქნას იმისათვის, რათა სავსებით მომზადებულნი შევხვდეთ მესამე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის გაზაფხულს. 1938 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმა უნდა გახდეს მძლავრი საშუალება ყველა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მობილიზაციისა მაღალი მოსავლისათვის, სოციალისტური მიწათმოქმედების ახალი გამარჯვებებისათვის საბრძოლველად.

„პრავდის“ მოწინავე 28/I.

ამხ. მ. მ. ლიტვინოვის სიტყვა ერთა ლიგის საბჭოს მე-100 სესიაზე



ჟენევა, 27 იანვარი (საკდესი). დღეს ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მ. მ. ლიტვინოვი. თავის სიტყვაში ამხ. ლიტვინოვმა სთქვა:

„საბჭოთა კავშირი არ ეკუთვნის ერთა ლიგის პირვანდელ ორგანიზატორთა რიცხვს და არ მიუღია მონაწილეობა ერთა ლიგის ყველა სესიაში. თავისი არსებობის დასაწყისიდანვე საფუძვლად დაუდო რა თავის საგარეო პოლიტიკას ხალხთა შორის მშვიდობიანობის პრინციპი, საბჭოთა კავშირს არ შეეძლო არ ეთანაგრძნო იმ ძირითადი ამოცანისათვის, რომელიც ერთა ლიგის წინაშე დასახეს მისმა დამაარსებლებმა და, პირველ რიგში, პრეზიდენტმა ვილსონმა. მაგრამ, იცოდა რა წინანდელ სამშვიდობო საერთაშორისო კონფერენციათა მოტივები და ბედი, საბჭოთა კავშირს თავისი კანონიერი ეჭვები ჰქონდა იმის შესახებ, თუ რამდენად მზად იყო სახელმწიფოთა უმრავლესობა თანმიმდევრობით და ლოიალურად შეესრულებინა ლიგის წინაშე დასმული საერთაშორისო მშვიდობიანობის დაცვის ამოცანა, და, ამიტომ, იგი დიდხანს თვალყურს ადევნებდა ამ ორგანიზაციას, სანამ მას შეუერთდებოდა. მაგრამ, დარწმუნდა რა იმაში, რომ ერთა ლიგა მართლაც, შეიძლება იყოს მშვიდობიანობის დარღვევის ერთგვარი ხელშემშლელი, და მიიღო რა ლიგის წევრთა უმრავლესობისაგან მიწვევა, სადაც დადასტურებული იყო, რომ ერთა ლიგის ძირითად მიზანს წარმოადგენს მშვიდობიანობის მხარდაჭერა და ორგანიზაცია, და, რომ საბჭოთა კავშირი მიწვეულია შევიდეს ლიგაში და დაიწყოს იქ თანამშრომლობა, — საბჭოთა კავშირმა გადასწყვიტა მიეღო ეს მიწვევა და დაეწყო თანამშრომლობა, რასაც მისგან ითხოვდნენ. მას შემდეგ არ ჩატარებულა ლიგის საბჭოს არცერთი სესია, არცერთი ასამბლეა, სადაც საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს არ განეცხადებინოთ, რომ საბჭოთა კავშირი მზადაა ყველა შემთხვევაში და ბოლომდე შეასრულოს მასზე, როგორც ლიგის წევრზე, დაკისრებული ყველა ვალდებულება. იმ შემთხვევებში, როცა საქმე მიდგებოდა ამ ვალდებულებათა ნამდვილ შესრულებაზე, ჟენევაში კოლექტიურად მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, საბჭოთა კავშირი არ ეძებდა საბაბს გვერდი აეხვია ამ ვალდებულებათა და გადაწყვეტილებათათვის, არამედ, პირიქით, ლოიალურად ასრულებდა მათ და ხმამაღლა მოუწოდებდა აქეთკენ ლიგის სხვა წევრებს, ზოგჯერ თავისი საკუთარი ნაციონალური ინტერესების საზიანოდაც კი. საბჭოთა კავშირს არასოდეს არ მიაჩნდა, რომ მას შეიძლება დასჭირდეს ერთა ლიგის ევენტუალური დახმარება უფრო მეტად და უფრო მალე, ვიდრე ლიგის სხვა წევრებს; პირიქით, საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ მას სხვა სახელმწიფოებზე ნაკლებად კი არა, არამედ უფრო მეტად შეუძლია დაეყრდნოს საკუთარ ძალებს, საკუთარ თავდაცვისუნარიანობას, საკუთარ იარაღს, საკუთარი ინდუსტრიის სიმძლავრეს, საკუთარ სხვა რესურსებს და, ბოლოს, მის შემადგენელ ხალხთა უდიდეს ენტუზიაზმს, პატრიოტიზმსა და ერთიანობას. და თუ საბჭოთა კავშირი სამართლიანად ითვლება ერთა ლიგის, როგორც მშვიდობიანობის იარაღის, ერთერთ ყველაზე მედგარ და ურყევ დამცველად, ეს აიხსნება იმით, რომ მას შეგნებული აქვს თავისი საერთაშორისო მოვალეობა. საერთაშორისო სოლიდარობა და გულწრფელად მისწრაფება მშვიდობიანობის უზრუნველყოფისაკენ არა მარტო თავის საკუთარ ხალხთათვის, არამედ აგრეთვე ყველა ქვეყნის მშრომელთათვის.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს მკაფიო პირდაპირ ხაზს, რომელიც მიმართულია საყოველთაო მშვიდობიანობისაკენ. ეს პოლიტიკა თავისუფალია გადახრებისაგან, ხვეულებისაგან, უეცარი და მოულოდნელი გადაწყვეტილებებისაგან, რომლებიც მას შეიძლება თავზე მოახვიოს სხვა სახელმწიფოთა ამა თუ იმ გამოსვლებმა და სურპრიზებმა. ამიტომ საბჭოთა კავშირს არ ესაჭიროება ერთა ლიგის იდეებისადმი ლოიალობისა და ერთგულების ახალი დეკლარაციები. მიუხედავად, ერთგვარი იმედგაცრუებისა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, მიუხედავად ლიგის ზოგიერთი წევრის გასვლისა, საბჭოთა კავშირი კვლავ ჰფიქრობს, რომ თუ სახელმწიფოთა უმრავლესობა, რომელიც ერთა ლიგაში დარჩა, გამოიჩენს ლოიალობასა და კეთილ ნებას, ლიგას ჯერ კიდევ შეუძლია საგრძნობლად შეუშალოს ხელი აგრესიის ძალთა შემდგომ ხელფეხის გახსნას, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში — შეაჩეროს და შეამციროს აგრესია.

მე მინდა მოგაგონოთ, რომ საბჭოთა კავშირი ლიგაში შევიდა მალე მას შემდეგ, რაც ლიგა დასტოვა ორმა დიდმა სახელმწიფომ. ამ სახელმწიფოების წასვლა იმ მომენტში, როცა ერთმა მათგანმა თავისი საგარეო პოლიტიკის ღერძად აშკარად გამოაცხადა სხვისი მიწების ხელში ჩაგდება, ხოლო მეორე ფაქტიურად შეიჭრა სხვის ტერიტორიაზე, საბჭოთა კავშირი აშკარად დაარწმუნა, რომ ერთა ლიგა, მართლაც, ჰბორკავს აგრესიის ძალებს. ამას ამტკიცებს აგრეთვე ის შეუჩერებელი ბრძოლა, რომელსაც აგრესიული სახელმწიფოები ეწევიან ლიგის წინააღმდეგ, ისწრაფვიან რა მისი ლიკვიდაციისაკენ. ეს სახელმწიფოები ყველაზე უფრო ნაკლებ წააგავან დონ-კიხოტებს, რომელნიც ქარის წისქვილებს ებრძვიან. ინტრიგები, რომლებსაც თვით ისინი და მათი აგენტები ეწევიან ლიგის წინააღმდეგ, მოწმობენ, რომ მათ უფრო სწამთ ლიგის ძალა, მისი უნარი ხელი შეუშალოს მათ აგრესიას, ვიდრე, სამწუხაროდ, ლიგის ზოგიერთ სულმოკლე წევრს.

ლიგის უნივერსალობაზე ოცნებობა აკრძალული არ არის, მაგრამ მისი შექმნა არ შეიძლება ხელოვნური ღონისძიებებით. მართლაც, ერთა ლიგაში რომ ყველა სახელმწიფო შედიოდეს და ყველა სახელმწიფომ რომ საბოლოოდ უარი სთქვას აგრესიაზე, ომზე, როგორც საერთაშორისო საკითხების გადაჭრის საშუალებაზე, მაშინ, კაცმა რომ სთქვას, ერთა ლიგას აღარაფერი ექნებოდა გასაკეთებელი და საეჭვოა, რომ იგი საჭირო ყოფილიყო. უნდა ვიფიქროთ, რომ ერთა ლიგა თავისი პაქტით და აგრესიასთან ბრძოლის საშუალებებით, რომლებიც აღნიშნულია ამ პაქტში, შექმნილია იმ შემთხვევისათვის, როცა ესა თუ ის სახელმწიფო, ან სახელმწიფოთა ჯგუფიც კი უარს იტყვის ერთა ლიგის იდეაზე და დააპირებს მიმართოს აგრესიას.

ამგვარად, ერთა ლიგა თავიდანვე ანგარიშს უწევდა და არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია მისი უნივერსალობის არსებობისა და დარღვევისათვის და, მაშასადამე, არაფერი გაუთვალისწინებელი არ მომხდარა.

ერთა ლიგის აშკარა ან ფარულ მოწინააღმდეგეებს უყვართ იდეოლოგიური ბლოკების საფრთხობელათი დაშინება. მე მინდა ვიკითხო — რომელ იდეოლოგიაზეა აქ ლაპარაკი? რასაკვირველია, არა იმ იდეოლოგიაზე, რომელიც საფუძვლად უდევს სახელმწიფოს ამა თუ იმ შინაგან წყობილებას. რომ ერთა ლიგა არ შეიძლება გახდეს ამგვარ იდეოლოგიურ ბლოკად, ამას ამტკიცებს შინაგანი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის უდიდესი მრავალფეროვანების წარმომადგენელთა თანამშრომლობა ლიგის ჩარჩოებში. ასეთ იდეოლოგიას ერთა ლიგა არ მისდევს და, მე ვფიქრობ, არც გამოედევნება. მაგრამ, არის სხვაგვარი იდეოლოგია, რომლის დედაარსია ყველა არსებული სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და თავისთავადობის პატივისცემა, მათი საზღვრების დაურღვევლობა, უარის თქმა ომზე, როგორც საშუალებაზე საერთაშორისო საკითხების გადასაჭრელად, ყველა ხალხის — დიდისა და პატარას თანასწორუფლებიანობის აღიარება. ერთა ლიგას, ეჭვს გარეშეა, თუ მას სურს თავისი ამოცანის ერთგული იყოს, არ შეუძლია არ წარმოადგენდეს საერთაშორისო ხასიათის ამგვარი იდეოლოგიის ბლოკს. მეორე მხრივ, შეუძლებელია ლაპარაკი ლიგის არაწევრთა საწინააღმდეგო ბლოკზე, რომელთა შორის ჩვენ ვიცით, ყოველ შემთხვევაში, ერთი დიდი სახელმწიფო, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობაში ერთა ლიგის ამავე იდეოლოგიას ჰქადაგებს. სულ სხვა საქმეა, თუ ერთა ლიგაში შემავალი ან არშემავალი ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო გაერთიანდა ლიგის პაქტით დაგმობილი პოლიტიკის განსახორციელებლად. თუ ოდესმე შეიქმნა აგრესიის ასეთი ბლოკი და არა მარტო თეორიაში, არამედ მოქმედებაშიც, მას შეიძლება მოუხდეს მშვიდობიანობის იმ ბლოკისათვის ანგარიშის გაწევა, რომელსაც, ცხადია, წარმოადგენს ერთა ლიგა. ამაშია ერთა ლიგის მთელი აზრი (მე არ ვიცავ დაჟინებით სიტყვა „ბლოკს“, თუ იგი ვინმეს ყურს ეხამუშება, და მზადა ვარ ის შევცვალო მათთვის უფრო სასიამოვნოდ მჟღერი სიტყვით („ღერძი“).

მანამდე, სანამ რჩება მცირეოდენი იმედი იმისა, რომ ერთა ლიგა დარჩება მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ბლოკად ან ღერძად, იმისა, რომ იგი ლოიალურად შეასრულებს ხოლმე ლიგის პაქტს, — დარჩება ბლოკად, რომელიც წინააღმდეგობას უწევს იდეოლოგიურ, ხოლო, როცა საჭიროა და შესაძლებელი, მატერიალურ - ინდივიდუალურ ან ჯგუფურ აგრესიას, და რომ ლიგა შეინარჩუნებს მშვიდობიანობის იარაღის ხასიათს, შეინარჩუნებს ზემოქმედების ყველა შესაძლებლობას, რაც მას გააჩნია, — საბჭოთა კავშირი ვერ ხედავს საფუძველს იმისათვის, რომ გადასინჯოს თავისი დამოკიდებულება ერთა ლიგისა და მისი წესდებისადმი, სთვლის რა, რომ წესდების ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს მხოლოდ კოლექტიური და არა ინდივიდუალური გადაწყვეტილებათა შედეგი.

მივესალმები რა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენელთა დეკლარაციებს, რომლებიც ეს არის მოვისმინეთ, მე ვაცხადებ, რომ არ ეკუთვნის რა ერთა ლიგის დამაარსებელთა რიცხვს და ამიტომ, არ ეკისრება რა ლიგისთვის მორალური პასუხისმგებლობა იმდენად, რამდენადაც ზოგიერთ სხვა სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირი წინანდებურად მზადაა მაქსიმალური თანამშრომლობისათვის ლიგის დანარჩენ ლოიალურ წევრებთან“.

1938 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების შესაბამისად, მიიღო დადგენილება 1938 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმის შესახებ. დაწესებულია ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმა მთელი წლისათვის, საგაზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოთა ჩათვლით, და დამტკიცებულია რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ძირითად სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმა 1938 წლისათვის.

საგაზაფხულო თესვის გეგმა დამტკიცებულია 90.804,9 ათასი ჰექტარის ოდენობით, აქედან: საბჭოთა მეურნეობებში 7.508,7 ათასი ჰექტარი, კოლმეურნეობებში 77.308,6 ათასი ჰექტარი და ერთპიროვნულ მეურნეობებში 703,8 ათასი ჰექტარი.

წმინდა ანეულთა მოხვნის გეგმა დამტკიცებულია 32.641,7 ათასი ჰექტარის ოდენობით, აქედან: საბჭოთა მეურნეობებში 3.123,2 ათასი ჰექტარი და კოლმეურნეობებში 29.518,5 ათასი ჰექტარი.

მარცვლეული კულტურების **საშემოდგომო თესვის** გეგმა დამტკიცებულია 36.481,0 ათასი ჰექტარის ოდენობით, აქედან: საბჭოთა მეურნეობებში 2.087,0 ათასი ჰექტარი, კოლმეურნეობებში 34.181,5 ათასი ჰექტარი და ერთპიროვნულ მეურნეობებში 212,5 ათასი ჰექტარი.

მზრალად ხვნის გეგმა დამტკიცებულია 67.907,9 ათასი ჰექტარის ოდენობით, აქედან: საბჭოთა მეურნეობებში 6.357,9 ათასი ჰექტარი და კოლმეურნეობებში 61.550,0 ათასი ჰექტარი.

კოლმეურნეობებში იონჯის ფართო მწკრივებად ნათეს **სათესლეების გაშენების** გეგმა დამტკიცებულია 135 ათასი ჰექტარის ოდენობით, სამყურის სათესლეებისა—150 ათასი ჰექტარის ოდენობით და კოლმეურნეობებში მდელო-საძოვრების ბალახთა სათესლეების გაშენების გეგმა—58,4 ათასი ჰექტარის ოდენობით, ამასთან უზრუნველყოფილ უნდა იქნას სათესლეების გაშენება უმთავრესად საუკეთესო ადგილობრივი ჯიშების შერჩეული თესლებით, საუკეთესო, სარეველებისაგან გაწმენდილ, განოყიერებულ მიწებზე.

საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მრავალწლოვან ბალახთა **სათესლეების დატოვების** გეგმა დამტკიცებულია 1.799,5 ათასი ჰექტარის ოდენობით და ერთწლიანი ბალახებისა—158,4 ათასი ჰექტარის ოდენობით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაავალა სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს, მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებს თვითეული რესპუბლიკის, მხარისა და ოლქისათვის დაწესებული გეგმის საფუძველზე დაიყვანონ არა უგვიანეს 1938 წლის 15 თებერვლისა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმა საბჭოთა მეურნეობებამდე და კოლმეურნეობებამდე თვითეული საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის კონკრეტულ თავისებურებათა, შემოღებულ და შემოსაღებ თესლბრუნვათა გათვალისწინებით, აგრეთვე უზრუნველჰყონ არა უგვიანეს 1938 წლის 15 თებერვლისა თვითეულ ერთპიროვნულ მეურნეობამდე დავალებათა დაყვანა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დარგში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ისეთ უმნიშვნელოვანეს საქმეში, რომელიც შეეხება მშრომელთა ფართო მასების უშუალო ინტერესებს, როგორიცაა გეგმის დაყვანა კოლმეურნეობებამდე, არ იქნას გამოჩენილი ადმინისტრირებით გატაცება და გულგრილი დამოკიდებულება კოლმეურნეთა წინადადებებისა, მითითებებისა და მოთხოვნებისადმი.

რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების სხდომებს კოლმეურნეობათა გეგმების დამტკიცებისას აუცილებლად უნდა დაესწრონ შესაბამის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა, რომ კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარება უნდა სწარმოებდეს საშემოდგომო და საგაზაფხულო მარცვლეულის ნათესების მთელი ფართობიდან, რომელიც განსაზღვრულია თესვის სახელმწიფო გეგმით. საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვის გეგმის გადამეტებით დათესილი მარცვლეული კულტურების ფართობიდან მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარება სახელმწიფოსათვის არ სწარმოებს. მაგრამ იმ შემთხვევებში, როცა მარცვლეული კულტურების გეგმის გადაჭარბებით შესრულება მიღწეულია სხვა კულტურების გეგმის არამთლიანად შესრულების ხარჯზე, სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება ფაქტიურად დათესილი ფართობიდან უნდა სწარმოებდეს.

სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების ოდენობის გამოანგარიშება ერთპიროვნული მეურნეობებისათვის უნდა სწარმოებდეს მარცვლეულის ნათესების მთელი ფართობიდან, მაგრამ იგი სახელმწიფო გეგმით დაწესებულ ფართობზე უფრო მცირე არ უნდა იყოს.

კოლმეურნეობები, რომლებიც 1938 წელს დასთესენ ახლად ათვისებულ ყამირ მიწებს, თავისუფლდებიან ამ ნათესებიდან სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარებისაგან: 2 წლით—თუ ყამირი ათვისებულია გაწმენდის, ამოძირკვის და ამოშრობის გზით, და ერთი წლით—თუ გაწმენდა, ამოძირკვა და ამოშრობა არ მომხდარა.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოები, სამხარეო და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ მოსპონ საგაზაფხულო თესვისათვის სათესლე ფონდების მომზადების დაუშვებელი ჩამორჩენა, რასაც ადგილი აქვს თესლის გამოყოფის, გაწმენდისა და საჭირო ჯიშთა შერჩევის, უბრალო მარცვლის ჯიშიანზე გადაცვლის და სხვ. დარგში.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოები, სამხარეო და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტები ვალდებული არიან უზრუნველჰყონ სათესლე მასალის გულმოდგინედ გაწმენდა, მისი ფრთხილად შენახვა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ჯიშიან ნათესთა გეგმის შესრულება „მარცვლეული კულტურების თესლთა გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1937 წლის 29 ივნისის დადგენილების შესაბამისად.

ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მოსავლიანობის გადიდება 1938 წელს, განსაკუთრებით ჯიშიან ნათესთა ხარჯზე. წელს აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კიდევ უფრო მაღალი მატება, ვიდრე 1937 წელს იყო.

ამ ამოცანის შესრულებისაკენ უნდა იყოს მიმართული ნამდვილად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების, კოლმეურნეთა აქტივის და კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მთელი მასის ძალღონე. (საკდესი).

სსრ კავშირის ორდენების ჩაბარება

27 იანვარს, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა, პრეზიდიუმის მთელ რიგ წევრთა თანდასწრებით, ორდენები ჩააბარა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დაჯილდოებულ მუშაკებს და სხვებს.

დაჯილდოებულთა შორის—20-ზე მეტი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატი — საბჭოთა ხალხის მიერ წარგზავნილები არიან: ბ. დ. ბერმანი, კ. ნ. ვალუხინი, დ. მ. დმიტრიევი, ე. ფ. კრივეცი, გ. ა. ლუპეკინი, ა. ი. უსპენსკი, ნ. ნ. ფედოროვი, პ. ვ. ჩისტოვი, პ. ს. დოლგოპიატოვი, ვ. პ. ჟურავლიოვი და სხვები.

გულთბილად მიულოცა რა სამშობლოს სახელოვან შვილებს, უშიშარ მზვერავებს, რომელნიც ფხიზლად იცავენ საბჭოთა ხალხის სიმშვიდესა და მშვიდობიან შრომას, ამხ. კალინინმა ჩააბარა თვითეულ მათგანს მუშურ - გლეხური მთავრობის მაღალი ჯილდო. მიიღეს რა ჯილდო, ჩეკისტებმა მხურვალე მადლობა გამოსთქვეს, მათ ილაპარაკეს იმ დიდ ნდობაზე, რომლითაც ეპყრობა მათ საბჭოთა ხალხი, პარტია და მთავრობა, ისინი სიტყვას იძლეოდნენ, რომ იმუშავებენ ძალღონის დაუზოგავად, რათა გაამართლონ ეს ნდობა.

ამხ. კ. ნ. ვალუხინი თავის სიტყვაში აღნიშნავს შინსახკომის ორგანოების წარმატებებს ხალხის დაუძინებელი მტრების ფაშისტურ დაზვერვათა ტროცკისტ-ბუხარინელი და სხვა აგენტების განადგურების საქმეში. მტრის ბუდე განადგურებულია სოციალიზმის ქვეყნის ერთგული შვილის, მებრძოლი სტალინური სახკომის ამხ. ნ. ი. ეჟოვის ხელმძღვანელობით.

— ჩვენ გვახსოვს, — აცხადებს ამხ. ვალუხინი, — დიდი სტალინის მითითება კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, იმის შესახებ, რომ იგი ჰგზავნის და მომავალშიაც შემოგზავნის ხოლმე ჩვენთან ტერორისტებს, ჯაშუშებსა და დივერსანტებს. ჩვენ გვესმის თუ რა უაღრესად სერიოზული პასუხისმგებლობა აწევს შინსახკომის ორგანოებს ხალხის წინაშე. ამ პასუხისმგებლობის სრულის შეგნებით ჩვენ სიტყვას ვიძლევით, რომ კიდევ მეტად ავამაღლებთ ჩვენს სიფხიზლეს და ბოლომდე აღმოვფხვრით ტროცკისტ-ბუხარინელ ბანდიტებს, სოციალისტური სამშობლოს ყველა მტერს.

ძლიერი ტაშით მიესალმნენ ჩეკისტები ამხ. ვალუხინის სიტყვას.

ამის შემდეგ გამოვიდნენ ამხ. მ. ი. ნენახოვი და ამხ. მ. პ. სოტინი.

ჩააბარა რა ორდენები, ამხ. მ. ი. კალინინმა უსურვა დაჯილდოებულებს შემდგომი წარმატებანი მათ მუშაობაში.

ლენინის წინასწარდასახულობანი განხორციელებულია

ამხ. ა. ა. ჟდანოვის მოხსენება 1938 წლის 21 იანვარს დიდ თეატრში ვ. ი. ლენინის გარდაცვალების თოთხმეტი წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმოვან-სამგლოვიარო სხდომაზე

სოციალიზმის გამარჯვება— მთავარი შედეგია

ამხანაგებო, 14 წლის წინათ შესწყდა მშრომელი კაცობრიობის დიდი მასწავლებლისა და ხელმძღვანელის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სიცოცხლე.

ამ დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელები მთელი მსოფლიოს მშრომელებთან ერთად აჯამებენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიადი იდეების, ანდერძისა და წინასწარდასახულობათა განხორციელების შედეგებს, აფასებენ განვლილ გზას და სახავენ იმ საქმის გამარჯვებისათვის შემდგომი ბრძოლის პერსპექტივებს, რომელსაც სიცოცხლე შესწირა ვლადიმერ ილიას-ძემ.

ლენინის ანდერძისა და წინასწარდასახულობათა განხორციელების ყველაზე შესანიშნავ შედეგს წარმოადგენს სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, საზოგადოების ის რადიკალური გარდაქმნა, რომელიც მიღწეულია ჩვენს ქვეყანაში.

ამხანაგმა სტალინმა თავის სიტყვაში ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო კრებაზე აღნიშნა, რომ „ჩვენში სოციალიზმი არა მხოლოდ შენდება, არამედ უკვე დამკვიდრდა ყოფაცხოვრებაში, ხალხის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში. 10 წლის წინათ შეიძლებოდა დისკუსია იმაზე, შეიძლება თუ არა ჩვენში სოციალიზმის შენება. ახლა ეს აღარ არის სადისკუსიო საკითხი. ახლა ეს არის ფაქტების საკითხი, ცოცხალი ცხოვრების საკითხი, ყოფაცხოვრების საკითხი, რომლითაც გამსჭვალულია ხალხის მთელი ცხოვრება".

შემდეგ ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობენ უკაპიტალისტებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში ნამდვილ სოციალიზმს. ჩვენს მინდვრებში მიწის მუშაკები მუშაობენ უმემამულეებოდ, უკულაკებოდ. მუშაობას ხელმძღვანელობენ ხალხიდან გამოსული ადამიანები. სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში სოციალიზმს ყოფაცხოვრებაში, სწორედ ამას უწოდებენ ჩვენში თავისუფალ, სოციალისტურ ცხოვრებას".

ლენინის პრინციპების, იდეებისა და ანდერძის უდიდეს მონაპოვარს და გამარჯვებას წარმოადგენს ის, რომ სოციალიზმი ახლა გახდა ერთნაირად ძვირფასი და ახლობელი საქმე, როგორც მოსკოვისა და ლენინგრადის მუშისათვის, ისე წინათ ყველაზე ჩამორჩენილი, კაპიტალიზმისა და ცარიზმის მიერ ყველაზე დაბეჩავებული, ყველაზე ჩაგრული ხალხებისთვისაც.

ახლა სოციალიზმი შეიჭრა საბჭოთა ქვეყნის ყველაზე შორეულ კუთხეებში, დამკვიდრდა ყოფაცხოვრებაში და წარმოადგენს ჩვენი სამშობლოს ყოველი მშრომელი ადამიანის განუყრელ კუთვნილებას, ვინაიდან ჩვენ შევძელით განგვეხორციელებინა ლენინის ანდერძი და წინასწარდასახულობანი, აგვეშენებინა საზოგადოება, რომელშიაც არ არიან ექსპლოატატორები და პარაზიტები, აგვეშენებინა მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის მეგობრულ თანამშრომლობაზე დამყარებული საზოგადოება, აგვეშენებინა სსრ კავშირის ყველა ხალხის თავისუფალ კავშირზე დამყარებული საზოგადოება.

სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში—ეს ნიშნავს ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის — ლენინის ძირითადი ანდერძის შესრულებას. (ტაში).

ამხანაგებო, მე აქ არ მოვიყვან ციფრებსა და ფაქტებს, რომლებიც ახასიათებენ სოციალიზმის გამარჯვებებს ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი ინდუსტრიის და კოლექტიური სოფლის მეურნეობის გამარჯვებებს. ისინი საკმაოდ ცნობილია. მე მინდა აქ მხოლოდ მოგაგონოთ ამხანაგ სტალინის მითითება, რომ ჩვენმა რევოლუციამ, ყველა სხვა რევოლუციისაგან განსხვავებით, ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის უზრუნველჰყო არა მარტო პოლიტიკური თავისუფლება, არამედ მატერიალური კეთილდღეობანიც, შექმნა შეძლებული და კულტურული ცხოვრების პირობები. ეს მონაპოვარი წარმოადგენს ჩვენი სოციალისტური რევოლუციის ყველაზე დიდ, ყველაზე ძვირფას, ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვარს. იგი უზრუნველჰყოფს რევოლუციის შემდგომ ძლევამოსილ წინსვლას. ეს მონაპოვარი ღრმად მსჭვალავს მთელ ჩვენს ცხოვრებას და მტკიცედ აერთიანებს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს.

სოციალიზმის გამარჯვებათა უზრუნველსაყოფად მშრომელი მასების მიერ გაღებულ მსხვერპლს უქმად არ ჩაუვლია. ეს მსხვერპლი გამოსყიდულ იქნა იმით, რომ მშრომელებმა მიიღეს შეძლებული და კულტურული ცხოვრების საშუალება, მიიღეს თავისი კულტურისა და ცხოვრების მატერიალური პირობების ყოველმხრივ განვითარებისა და სრულყოფის შესაძლებლობა. ეს შეადგენს ჩვენი რევოლუციის უდიდეს ძალას და რევოლუციას ხდის უძლეველად.

საბჭოთა ხალხის ერთიანობა— სოციალიზმის უდიდესი მონაპოვარია

ამხანაგებო! ჩვენი ახალი წყობილების საფუძველს წარმოადგენს ის, რომ მშრომელები უშუალო მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

სტალინური კონსტიტუცია, რომელშიაც ჩაწერილია სოციალიზმის მონაპოვარნი, რომელმაც ასახა ყოველივე ის, რასაც მშრომელებმა მიაღწიეს მრავალი წლის ბრძოლისა და მშენებლობის შედეგად—ეს სტალინური კონსტიტუცია მოყვანილია მოქმედებაში. უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, რომელმაც განახორციელა საყოველთაო საარჩევნო უფლების ყოველგვარი შეზღუდვის ლიკვიდაცია, უზრუნველჰყო ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობა, სქესის, ეროვნებისა და რასობრივი კუთვნილების დამოუკიდებლად. ეს არის შემდგომი ნაბიჯი წინ ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიზმის განხორციელების საქმეში.

12 დეკემბრის არჩევნები, რომლებმაც საარჩევნო ყუთებთან მოიყვანეს ამომრჩეველთა თითქმის 100 პროც., წარმოადგენენ შესანიშნავ მოვლენას მთელს ჩვენს ცხოვრებაში. არჩევნებმა დაგვანახვეს, რომ ლენინ-სტალინის საქმის გარშემო, ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა უდაო ფაქტია. არჩევნებმა დაგვანახვეს, რომ ჩვენი ხალხი აბსოლუტურად ერთსულოვანია თავის უსაზღვრო ნდობაში ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი. (მქუხარე ტაში).

არჩევნებმა, ისე როგორც მთელმა ჩვენმა ყოველდღიურმა ცხოვრებამ, ერთხელ კიდევ დაგვანახვეს, რომ მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია შესაძლებელი მშრომელთა ნამდვილი თავისუფლება, მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია შესაძლებელი მშრომელთა ნამდვილი ძმობა, ვინაიდან ჩვენში გაიმარჯვა სოციალიზმმა. აღსრულდა ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები, რომ კერძო საკუთრება სთიშავს, ხოლო სოციალიზმი აერთიანებს.

სწორედ სოციალისტური წესრიგის გამარჯვების საფუძველზე განმტკიცდა ჩვენში მშრომელთა ნამდვილი ძმობა. ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ინტერესები ერთიანია და მიმართულია იქითკენ, რომ აამაღლოს და სრულჰყოს სოციალისტური წარმოება და კულტურა ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, მიმართულია იქითკენ, რომ განამტკიცოს და გაადიდოს ჩვენი საზოგადოებრივი სიმდიდრე, რომელიც წარმოადგენს თვითეული მშრომელის ბედნიერი ცხოვრების საფუძველს.

ვლადიმერ ილიას-ძე გვასწავლიდა, რომ მარქსისტებს—ბოლშევიკებს თანასწორობა ესმით, როგორც კლასების მოსპობა. ჩვენს ქვეყანაში—გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში ხორციელდება ნამდვილი თავისუფლება, მშრომელთა ნამდვილი ძმობა, ნამდვილი თანასწორობა, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში მოსპობილია ექსპლოატატორთა კლასები და სწრაფი ნაბიჯით მიდის კლასობრივ განსხვავებათა მოსპობა, ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობა.

ჩვენში ყოველი შავი მუშა—თავისუფალი ადამიანია, რომელიც თავისი პოლიტიკური განვითარებით განუზომლად უფრო მაღლა სდგას, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნის მუშა, სადაც იგი წარმოადგენს კაპიტალის მონას, ექსპლოატატორთა კლასების მონას.

მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე შეეძლო გაფურჩქვნა საბჭოთა სოციალისტურ დემოკრატიზმს. პროლეტარიატის დიქტატურას, როგორც ვლადიმერ ილიას-ძე გვასწავლიდა, აუცილებლად უნდა მოეტანა დემოკრატიზმის ფორმების ისეთი შეცვლა, რომელმაც მოგვცა მშრომელი კლასების მიერ დემოკრატიზმის ფაქტიურად გამოყენების უმაგალითო გაფართოება.

ამ თვალსაზრისით უზენაესი საბჭოს არჩევნები წარმოადგენენ განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას, ვინაიდან ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მთლიანად გამოიყენეს თავისი უფლებები.

ჩვენი საბჭოთა დემოკრატიზმი ემყარება არა მარტო საყოველთაო, პირდაპირ და თანასწორ საარჩევნო უფლებას ფარული კენჭისყრით. იგი ემყარება მშრომელთა უფლებებს შრომასა, დასვენებასა, კულტურულ და შეძლებულ ცხოვრებაზე,—უფლებებს, რომლებიც შეპირობებულია სოციალიზმის გამარჯვებით.

სწორედ ამიტომ საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიზმი განუზომლად მაღლა სდგას, ვიდრე რომელიმე ბურჟუაზიული დემოკრატია, რომელიც ატყუებს მუშებს სიტყვებით ძმობის, თანასწორობისა და თავისუფლების შესახებ, ხოლო სინამდვილეში სტოვებს კაპიტალისტურ ჩაგვრას, სტოვებს სიმდიდრეს ერთმხარეზე და სიღატაკეს მეორე მხარეზე, სტოვებს მშრომელი მასების მთელ ეკონომიურ და მორალურ დამოკიდებულებას კაპიტალისაგან, მთელს მათ არათანასწორუფლებიანობას. კაპიტალის ბატონობის დროს მშრომელი მასები მოკლებული არიან საშუალებას განახორციელონ ის შეკვეცილი პოლიტიკური უფლებებიც კი, რომლებსაც ფორმალურად ანიჭებს მათ ბურჟუაზიული დემოკრატია,—რომ არაფერი ვთქვათ იმ ქვეყნებზე, სადაც ამ შეკვეცილი დემოკრატიის კვალიც კი არ დარჩენილა.

სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ძმობისა და ერთიანობის საფუძველზე, რომლებიც გაერთიანებული არიან სოციალისტური მეურნეობის სრულყოფისა და განმტკიცების, შეძლებულობისა და კულტურის ამაღლების ერთიანი მიზნით,—ამ საფუძველზე ჩატარდა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული არჩევნები.

ჩვენი ხალხის მორალურმა ერთიანობამ, რომელიც ასეთი ძალით გამოვლინდა არჩევნების დღეს—12 დეკემბერს—უდიდესი ძალით იჩინა თავი უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მსვლელობაშიც.

უზენაესი საბჭოს მუშაობამ ცხადჰყო ყველა დეპუტატის ერთსულოვნება და ამაში გამოიხატა მიზნის მთლიანობით გაერთიანებული მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის ნებისყოფის ერთიანობა.

ეს გამოიხატა იმ ერთსულოვნებაშიც, რომლითაც უზენაესმა საბჭომ აირჩია უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და სხვა თავისი ორგანოები, აგრეთვე სახალხო კომისართა საბჭო ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის მეთაურობით (ტაში).

მძლავრი მხარდაჭერის, ხალხის ერთიანობის მძლავრი დემონსტრაციის ვითარებაში, რომლებითაც გარემოსილი იყო უზენაესი საბჭოს მთელი მუშაობა, თავი იჩინა ხალხის მასების უსაზღვრო სიყვარულმა და ნდობამ თავისი პარტიისა და თავისი მთავრობისადმი.

ასეთი ერთიანობა ხალხსა და მისი ხელმძღვანელობის, მისი მთავრობის შორის, არ არის და არც შეიძლება იყოს მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში. ეს არის თვისება, რომელიც ახასიათებს მხოლოდ ჩვენს ქვეყანას, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანას. (ტაში).

საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხეში მშრომელი ადამიანები, მუშები და გლეხები, ეწევიან დიდ მუშაობას სოციალიზმის მშენებლობისათვის. ჩვენში შრომა გახდა ღირსების, სიმამაცის და გმირობის საქმედ. ჩვენში პატივითა და მზრუნველობით ეკიდებიან თვითეულ მშრომელ ადამიანს. თვითეული მშრომელი გრძნობს ამ ზრუნვას მასზე პარტიისა და მთავრობის მხრივ და შეგნებული აქვს, რომ იგი არის სოციალიზმის მშენებელთა და მშრომელთა კოლექტივის განუყრელი ნაწილი.

12 დეკემბრის არჩევნების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ამომრჩეველთა თვითეული ფენა,—მოხუცები და ახალგაზრდები, მუშები და ინტელიგენცია, გლეხები და ხელოსნები, ქალები და მამაკაცები—მიდიოდა ყუთებთან, რათა მიეცა თავისი ხმა ჩვენი პარტიისათვის, სოციალიზმის ახალი გამარჯვებებისათვის, თავისი ბედნიერი, კულტურული ცხოვრებისათვის.

მთელი ხალხი გაერთიანებული აღმოჩნდა დიდით პატარამდე და ხალხის თვითეულ ფენას შეგნებული აქვს თავისი როლი ჩვენს საზოგადოებაში, შეგნებული აქვს საერთო საქმეში თავისი მონაწილეობის მნიშვნელობა. მშრომელი მოსახლეობის თვითეულმა რაზმმა იცის, რომ მან სოციალისტური რევოლუციისაგან, მიიღო ის, რაზედაც კაპიტალიზმისა და ცარიზმის დროს ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. ჩვენი ქვეყნის თვითეულმა პატიოსანმა მშრომელმა იცის, რომ იგი გარშემორტყმულია სტალინური მზრუნველობით. სტალინური ყურადღებით. აი საიდან მოდის ხალხის გაერთიანება და შემჭიდროება 1937 წლის 12 დეკემბრის ჩატარებულ არჩევნებში.

გმირობა დამკვიდრდა ჩვენი ხალხის ყოფაცხოვრებაში

ამხანაგებო! ჩვენი წყობილება შესანიშნავია იმით, რომ იგი წინ სწევს კაპიტალიზმის დროს შეუმჩნეველ, უცნობ ადამიანებს, რომლებიც კაპიტალიზმის დროს დარჩებოდნენ ადამიანთა მტვრად, გახდებოდნენ „ზედმეტი" ადამიანები, როგორადაც მათ ძველ დროს უწოდებდნენ. გაიხსენეთ, თუ როგორ მხატვრულად ასახავდა თავის ნაწარმოებებში ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი ამ „ზედმეტი" ადამიანების —შრომის ადამიანების, კაპიტალიზმის უღლით გათელილი, ძველ, მეფის რუსეთში უიმედო ცხოვრებით დაღუპული ადამიანების ცხოვრებას.

საბჭოთა ქვეყანაში არ არიან ზედმეტი ადამიანები, ჩვენში ზედმეტი ადამიანები არიან მხოლოდ დამარცხებულ ექსპლოატატორთა კლასების ის უბადრუკი ნამსხვრევები, რომლებსაც არ დაუყრიათ იარაღი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მშრომელები, შრომის ადამიანები პატივითა და დიდებით სარგებლობენ საბჭოთა მიწაწყალზე.

შრომის ადამიანები თვითონ, საკუთარი ხელით ჰქმნიან ახალ ცხოვრებას. აი ამიტომ არის, რომ ჩვენში ასე ლამაზ ყვავილად იფურჩქნებიან ხალხის ტალანტები. ამიტომ არის, რომ ხალხი ასი ათასობით ნიჭიერ ხელმძღვანელებს აწინაურებს სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბნებზე.

აი, ამიტომ არის, ამხანაგებო, რომ ჩვენში ფართოვდება სტახანოვური მოძრაობა. სწორედ ამიტომ აწინაურებს ხალხი ყოველდღე შრომის სულ ახალ-ახალ გმირებს, თავდაცვის, ავიაციის გმირებს, კულტურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის ოსტატებს. სსრ კავშირში შრომის ადამიანთა გმირობა წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ და საყოველთაოდ გავრცელებულ მოვლენას.

ჩვენში გმირობა დამკვიდრდა ხალხის ყოფაცხოვრებაში.

რაღაც არაფერი ისმის გმირობაზე კაპიტალისტურ ქვეყნებში! ეს გასაგებიცაა. ადამიანი იქ, კაპიტალიზმის ქვეყნებში, ფასდება მხოლოდ როგორც საქონელი. იქ, სადაც ადამიანი ფასდება მანეთობით, იქ, სადაც ფასდება არა ადამიანი, არამედ მისი სამუშაო ძალა, როგორც ამას ადგილი აქვს კაპიტალისტურ ქვეყნებში,—იქ ადგილი არა აქვს გმირობას.

მხოლოდ სოციალიზმს აჰყავს განუზომელ სიმაღლეზე ადამიანის ნამდვილი მნიშვნელობა, ჰქმნის საშუალებას მისი სულიერი ნიჭისა და ტალანტის ყოველმხრივ გაშლისათვის. სსრ კავშირში ყველას შეუძლია გამოიჩინოს თავისი ტალანტი და გახდეს გმირი.

სსრ კავშირში სოციალიზმის პრაქტიკამ ნაცარტუტად აქცია ფაშისტური და საერთოდ ბურჟუაზიული თეორიები იმის შესახებ, რომ ზოგიერთ რასას განსაკუთრებული ნიჭი აქვს, მეორესთან შედარებით, რომ მამაკაცებს განსაკუთრებული ნიჭი აქვთ, ქალებთან შედარებით, რომ მუშათა კლასს ნაკლები ნიჭი აქვს ბურჟუაზიასთან შედარებით.

ჩვენში ეს ფაშისტური, კაცთმოძულეობის თეორიები გაცამტვერებულია. ჩვენში საქმით არის დამტკიცებული, რომ ყოველ ხალხს, განვითარების რომელ საფეხურზედაც არ უნდა ჩაება იგი სოციალისტურ მშენებლობაში, ყველა საშუალება აქვს დაეწიოს სხვა ხალხებს თავის კულტურულ და სამეურნეო განვითარებაში. ჩვენში დამტკიცებულია საქმით და განხორციელებულია პრაქტიკულად ქალის თანასწორუფლებიანობა მამაკაცთან, დაკანონებულია პოლიტიკურად და განმტკიცებულია ეკონომიურად ქალის თანასწორუფლებიანობა მამაკაცთან, ვინაიდან მუშა ქალი მამაკაცის გვერდით სდგას დაზგასთან ქარხანაში, ფაბრიკაში, მამაკაცთან ერთად ეწევა მუშაობას საბჭოთა დაწესებულებებში. სოფლად საკოლმეურნეო წყობილებამ კოლმეურნე ქალისათვის უზრუნველჰყო მამაკაცისაგან დამოუკიდებლობა ყოფაცხოვრებაში, შრომადღე საშუალებას აძლევს გლეხ-ქალს მიიღოს თავისი წილი დოვლათი დახარჯული შრომის შესაბამისად. სწორედ ეს შეადგენს მამაკაცსა და ქალს შორის თანასწორუფლებიანობის ნამდვილ საფუძველს, რაც ჩვენში საქმით არის განხორციელებული. სსრ კავშირში ქალი ყველგან და ყოველგან მუშაობს მამაკაცთან ერთად—სახელმწიფო მმართველობაშიც, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაშიც.

ჩვენი ახალგაზრდობა არ არის მოწამლული კაცთმოძულეობის, კაციჭამიობის იდეებით. საბჭოთა ახალგაზრდობას აქვს საუცხოო აწმყო და კიდევ უფრო შესანიშნავი მომავალი. იგი თავისუფალია ყოველგვარი შოვინისტური, რასისტული და სხვა ბურჟუაზიული, ფაშისტური რეაქციული იდეებისაგან.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობა—მუშებისა და გლეხების გამარჯვებათა საფუძველია

ამხანაგებო! ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ჩვენ გვასწავლიდა, რომ გამარჯვების უზრუნველსაყოფად მთავარი ისაა, რომ ჩაგრულებსა და მშრომელებს ჩაუნერგო რწმენა თავის ძალებისადმი.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ეს მითითება, ეს ანდერძი სავსებით და მთლიანად არის განხორციელებული ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს აქვთ თავისი ძალების რწმენა. მათ იციან, რომ სწორედ მათი ბრძოლისა და შრომის მეოხებით არის უზრუნველყოფილი სოციალიზმის გამარჯვება. მათ იციან, რომ რწმენა თავის ძალებისადმი შემდეგში კიდევ უფრო მეტ გამარჯვებებს მოგვიტანს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის გამარჯვებას სსრ კავშირში. სსრ კავშირის მუშათა კლასმა და გლეხობამ, რომელთაც აქვთ თავისი ძალების რწმენა, არ მოატყუებინეს თავი არავის, ვინც მათ ჩასჩურჩულებდა დაურწმუნებლობას თავის ძალებისადმი, არავის, ვინც, სხვადასხვა ჯურის ოპორტუნისტების, მენშევიკების, ესერებისა და ტროცკისტ-ბუხარინელი გამცემლების მსგავსად, ცდილობდა დაედგა მუშებისა და გლეხებისათვის კაპიტალიზმის უღელი. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და გლეხობა თავისი მაგალითით უჩვენებენ მთელი მსოფლიოს მშრომელებს, თუ რას ნიშნავს რწმენა თავისი ძალებისადმი, რას ნიშნავს არ მიეცე პანიკას, არ აჰყვე მტრების ჩურჩულს, რომელნიც ამტკიცებენ რომ მუშებსა და გლეხებს უნარი არ შესწევთ აშენონ ახალი სოციალისტური საზოგადოება. ეს რწმენა თავის ძალებისადმი მუშებსა და გლეხებს ჩაუნერგა და განუმტკიცა ბოლშევიკების დიადმა პარტიამ.

ხალხის არნახული ერთიანობა, რომელიც ახლა ჩვენი ცხოვრების საფუძველს შეადგენს, წარმოადგენს სწორედ სოციალიზმის გამარჯვების შედეგს, უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი პარტიის ტრიუმფთან, ლენინიზმის ტრიუმფთან.

ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავის ტრიუმფს ბოლშევიკების პარტია უნდა უმადლოდეს გენიალურ მასწავლებლებს ლენინსა და სტალინს, უნდა უმადლოდეს, იმას, რომ იგი წმინდად ინახავს და იცავს ლენინურ-სტალინურ მოძღვრებას პარტიის შესახებ.

ლენინმა—ჩვენი პარტიის ფუძემდებელმა—შეჰქმნა ახალი ტიპის პარტია, რომელმაც უზრუნველჰყო პროლეტარიატის გამარჯვება.

ლენინი გვასწავლიდა, რომ ჩვენს პარტიას იმისათვის, რომ მოიპოვოს გამარჯვება, მუდამ მხედველობაში უნდა ჰქონდეს პროლეტარული დიქტატურის უმაღლესი პრინციპი,—გლეხობასთან მუშათა კავშირის შენარჩუნება.

ლენინი გვასწავლიდა, რომ პროლეტარიატს, იმისათვის, რომ გაიმარჯვოს, სჭირდება პარტია მებრძოლი, პარტია რევოლუციური, საკმაოდ გაბედული იმისათვის, რომ წაიყვანოს პროლეტარები ძალაუფლებისათვის საბრძოლველად, საკმაოდ გამოცდილი იმისათვის, რომ გაერკვეს რევოლუციური ვითარების რთულ პირობებში, და საკმაოდ მოქნილი იმისათვის, რომ გვერდი აუაროს ყველა და ყოველგვარ მეჩეჩს მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

ლენინი, ჰქმნიდა რა პარტიას, როგორც პროლეტარიატის საუცხოო ინსტრუმენტს, ჩვენ გვასწავლიდა, რომ პარტია არის პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, პროლეტარიატის ორგანიზაციის სხვა ფორმებთან შედარებით, როგორიცაა პროფკავშირები, კოოპერაცია, სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები,—რომელთა მუშაობაც მან წინ უნდა წასწიოს და წარმართოს.

ლენინი გვასწავლიდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა შეიძლება განხორციელებულ იქნას მხოლოდ პარტიის, როგორც წარმმართავი ძალის საშუალებით.

ლენინი გვასწავლიდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს სრული, თუ მას ხელმძღვანელობს ერთი პარტია, კომუნისტების პარტია, რომელიც ხელმძღვანელობას არ უნაწილებს და არ უნდა უნაწილებდეს სხვა პარტიებს.

ლენინი ჩვენ გვასწავლიდა, რომ თუ პარტიაში რკინის დისციპლინა არ არის, ისე არ შეიძლება განხორციელებულ იქნას პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანა ექსპლოატატორების დათრგუნვისა და კლასობრივი საზოგადოების სოციალისტურ საზოგადოებად გარდაქმნის საქმეში.

ლენინი, ლაპარაკობდა რა ჩვენს პარტიაზე, იმას გვასწავლიდა, რომ ჩვენი პარტიის ძალა მდგომარეობს მუშათა კლასის ავანგარდისა და მუშათა მასის ურთიერთობაში. იგი ამბობდა, რომ პარტია გულისხმიერად უნდა უგდებდეს ყურს მასების ხმას, ყურადღებით ეკიდებოდეს მასების რევოლუციურ ინსტიქტს, სწავლობდეს მასების ბრძოლის პრაქტიკას, არა მარტო ასწავლიდეს, არამედ სწავლობდეს კიდეც მასებისაგან. ეს ჰქმნის ურთიერთობას მუშათა კლასის ავანგარდისა, ე. ი. პარტიასა, და მშრომელთა მთელ მასას შორის.

შემდეგ, ეს ნიშნავს, რომ პარტია დღითი-დღე უნდა ანვითარებდეს და იხვეჭდეს მშრომელი მასების ნდობას, რომ მან უნდა მოიპოვოს მასების მხარდაჭერა და უნარი ჰქონდეს გააერთიანოს მასები—მხოლოდ მაშინ შეუძლია მას იყოს თავისი კლასის ბელადი და მასწავლებელი.

ამხანაგი სტალინი, ანვითარებდა რა ამ დებულებებს, მიგვითითებდა, რომ „ბოლშევიკების ძალა, კომუნისტების ძალა იმაშია, რომ მათ იციან ჩვენი პარტიის გარშემორტყმა მილიონიანი უპარტიო აქტივით". იგი მიგვითითებდა, რომ „ჩვენ, ბოლშევიკებს, არ გვექნებოდა ის წარმატებანი, რომლებიც ახლა გვაქვს, რომ არ ვიცოდეთ მილიონიანი უპარტიო მუშებისა და გლეხების ნდობის მოპოვება პარტიის სასარგებლოდ".

ხოლო რა არის საჭირო იმისათვის, რომ მოიპოვო ეს ნდობა?

ამხანაგი სტალინი ამბობს, რომ „ამისათვის საჭიროა, რომ პარტიულები არ გაემიჯნონ უპარტიოებს, რომ პარტიულები არ ჩაიკეტონ თავის პარტიულ ნაჭუჭში, რომ მათ ყოყოჩობა არ დაიწყონ თავისი პარტიულობით, არამედ ყური დაუგდონ უპარტიოების ხმას. რომ ისინი არა მარტო ასწავლიდნენ უპარტიოებს, არამედ სწავლობდნენ მათგანაც" (სტალინი—„ლენინიზმის საკითხები" გამოც. 10, გვ. 630)

შემდეგ, ამხანაგი სტალინი არაერთხელ მიგვითითებდა, რომ კომუნისტები არ უნდა ყოყოჩობდნენ თავისი პარტიულობით და არ შორდებოდნენ უპარტიოებს, ცხვირს მაღლა არ უნდა იწევდნენ მათ წინაშე. პარტიულებს უნდა ახსოვდეთ, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობდა რომ „არა ყოყოჩობა, არამედ თავდაბლობა ამშვენებს ბოლშევიკს".

ამხანაგებო! გვყავს თუ არა ჩვენ ისეთი პარტია, რომელსაც შეთვისებული აქვს ყველა ეს ძირითადი დებულება ლენინურ-სტალინური მოძღვრებისა პარტიის შესახებ, ლენინის ყველა ეს ანდერძი და წინასწარდასახულობანი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს პარტია?

დიაღ, ამხანაგებო, ასეთი პარტია ჩვენ გვყავს. და ამ პარტიას, ლენინის შემდეგ, ზრდიდა ამხანაგი სტალინი და ლენინის მიერ ნაჩვენები მიმართულებით მიუძღოდა, აღაფრთოვანებდა და რაზმავდა ყველა მტრებთან საბრძოლველად სოციალიზმის აშენებისათვის. (ხანგრძლივი ტაში).

ლენინ-სტალინის მოძღვრება გამომდინარეობს იქიდან, რომ მთელ ჩვენს საქმიანობას უნდა ვამოწმებდეთ ხალხის საშუალებით, ვინაიდან მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ კომუნისტები, როგორც ლენინი ამბობდა, წვეთია ხალხის ზღვაში, და რომ ჩვენ შეგვიძლია ვმართოთ მაშინ, როცა სწორად გამოვხატავთ იმას, რაც ხალხს აქვს შეგნებული.

ჩვენი პარტიის ნამდვილ ტრიუმფს წარმოადგენს ჩვენი პარტიის მიერ ხალხის ნდობის მოპოვება. ის ფაქტი, რომ ამომრჩეველთა თითქმის ასმა პროცენტმა მისცა ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, თვით ფაქტი ასეთი ბლოკის წარმოშობისა გვიჩვენებს, რომ ხალხის ნდობა ჩვენი პარტიისადმი მტკიცე და შეურყეველია. პარტიის პოლიტიკური ხაზისა და პრაქტიკული ხელმძღვანელობის შემოწმება ხალხის საშუალებით ყველაზე ნამდვილი შემოწმება იყო და ამ შემოწმებას ჩვენმა პარტიამ ღირსეულად გაუძლო.

უზენაესი საბჭოს არჩევნებმა მთელ მსოფლიოს უჩვენეს, რომ ბოლშევიკების პარტია ნამდვილად წარმოადგენს სსრ კავშირის მშრომელთა მოწინავე რაზმს და სარგებლობს საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელთა უსაზღვრო ნდობით (ტაში).

ბოლომდე აღმოვფხვრათ ხალხის მტრები

ვლადიმერ ილიას-ძის გარდაცვალების შემდეგ ჩვენი პარტია ლენინის გზით წაიყვანა ამხანაგმა სტალინმა. ამხანაგი სტალინი არის ლენინის საქმის განმგრძობი, რომელმაც შეაიარაღა პარტია სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად, შეჰქმნა და განავითარა თეორია, ტაქტიკა და სტრატეგია პროლეტარიატის ბრძოლისა აღდგენითი პერიოდის პირობებში, შემდეგ კი გაშლილი სოციალისტური მშენებლობის პირობებში. ამხანაგ სტალინს განუწყვეტლად მიჰყავს პარტია გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ, აღაფრთოვანებს მას, ასწავლის, თუ როგორ უნდა ებრძოლო მტრებს და როგორ უნდა გაიმარჯვო დიდი სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში, გრანდიოზული მსოფლიო ბრძოლების ეპოქაში. (მქუხარე ტაში).

ლენინი და სტალინი, ლაპარაკობდნენ რა ჩვენი პარტიის შესახებ, მიგვითითებდნენ, რომ აუცილებელია რკინის დისციპლინა პარტიის რიგებში, რომ აუცილებელია პარტიის სისტემატური გაწმენდა ოპორტუნისტული ელემენტებისაგან. ამ თვალსაზრისით უკანასკნელი წლების, და განსაკუთრებით 1937 წლის გაკვეთილები განსაკუთრებით საგულისხმოა.

1937 წელი იყო ჩვენს რიგებში შემოპარული ტროცკისტი, ბუხარინელი და სხვა ჯაშუშების, მზვერავების, დივერსანტებისა და მკვლელების განადგურების წელი.

1937 წელი იყო წელი, როცა მიღწევებს მეურნეობისა და კულტურის დარგში, წითელი არმიის მშენებლობის დარგში, სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობიან ურთიერთობათა განვითარების დარგში, ჩვენ, ბოლშევიკებმა, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, დავუმატეთ კიდევ ერთი სერიოზული მიღწევა. მე მხედველობაში მაქვს ის, რომ ჩვენ დავიწყეთ ბურჟუაზიულ დაზვერვებთან, ჩვენს რიგებში მათს აგენტურასთან ბრძოლის ხერხებისა და მეთოდების სერიოზულად დაუფლება.

საჭირო გახდა მაგრად დაგვეცხო იმ მუშაკებისათვის, რომელთაც დაავიწყდათ კაპიტალისტური გარემოცვის არასასიამოვნო ფაქტი, რომელთაც დაავიწყდათ, რომ ტროცკიზმი უკვე დიდი ხანია აღარ არის პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა კლასში და გადაიქცა დაქირავებულ ავაზაკთა და მკვლელთა ბანდად.

ამხანაგი სტალინი ჩვენ მუდამ გვასწავლის იმას, რომ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტი, რომ კაპიტალისტური გარემოცვა ჩვენს წრეში ჰგზავნის და შემდეგშიც გამოგზავნის თავის მზვერავებსა და აგენტებს. ამხანაგმა სტალინმა ჩვენს პარტიას მისცა საგნობრივი გაკვეთილი, თუ ნამდვილად როგორ უნდა მოაწყო სიფხიზლე, თუ წარმატებით როგორ უნდა გაანადგურო ყველა არამზადანი, რომელნიც თვალთმაქცური გზით შემოიპარნენ პარტიის რიგებში და ცდილობდნენ ძირი გამოეჭრათ და გამოეთხარათ მისთვის შიგნიდან, რომელნიც მიეყიდნენ საზღვარგარეთულ კაპიტალს, რომელთაც უღალატეს ჩვენს სამშობლოს და ცდილობდნენ დაებრუნებინათ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტები და მემამულეები, კვლავ დაედგათ მუშათა კლასისა და გლეხობისათვის ჩაგვრისა და ექსპლოატაციის უღელი.

1937 წელი ლენინის ანდერძთა და წინასწარდასახულობათა შესრულების ისტორიაში შევა, როგორც ხალხის მტრების განადგურების წელი. ვლადიმერ ილიას-ძე გვასწავლიდა,—ისე როგორც ამას გვასწავლის ამხანაგი სტალინიც,—გვქონოდა უნარი მტრების გასაძრომ-გამოსაძრომი ხვრელების გამოცნობისა, გვემხილებინა და გაგვენადგურებინა მტრები.

1937 წელი შევა ისტორიაში, როგორც ხალხის მტერთა ბრძოლის ყველაზე უფრო ცბიერი და ვერაგული მეთოდების წინააღმდეგ შეიარაღების წელი.

1937 წელი შევა ისტორიაში, როგორც წელი, როცა ჩვენმა პარტიამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ყველა ჯურის მტრებს, როცა ჩვენი პარტია ხალხის მტრებთან ბრძოლაში გახდა მტკიცე და ძლიერი, მიაღწია რა ამას მით, რომ განამტკიცა ჩვენი საბჭოთა დაზვერვა ნ. ი. ეჟოვის მეთაურობით. (ტაში).

ჩვენ ახლა ვიცით, თუ ვინ წარმოადგენს ხალხის წინააღმდეგ საშინელი, მოღალატური შეთქმულების საფუძველს. ჩვენ ახლა ვიცით, თუ რა წრეებიდან აგროვებენ ამ მტრებს. ჩვენ ახლა ვიცით, თუ როგორ ზრდიან მათ კაპიტალისტურ დაზვერვებში და საამისოდ განკუთნებულ დაწესებულებებში. ესენი არიან პანიკიორები, მხდალი, სულმდაბალი კაცუნები, მოღალატეები, გამცემლები, რომელნიც თავის დროზე ებრძოდნენ ლენინს, ათეული წლების მანძილზე ებრძოდნენ ჩვენს პარტიას, რომელნიც ამჯობინებენ ჩექმები ულოკონ ფაშისტებს.

ამ გამცემლებსა და ფაშიზმის აგენტებს ჩვენ გამანადგურებელი ლახვარი ჩავცით და შემდეგში ძირფესვიანად აღმოვფხვრით მათ. ამ ქვეწარმავლებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ჩვენს საბჭოთა მიწაწყალზე. (ტაში).

გაგრძელება (იხ. მე-3 გვ.)

ბიბლიოთეკა

ამხ. ა. ა. ჟდანოვის მოხსენების დასასრული

თუ ბევრი ჩვენგანი, კომუნისტთაგანი, არასაკმაო ძლიერად ვიყავით დაჭედილნი, არასაკმაოდ ფხიზელნი ვიყავით იმისათვის, რომ შეგვძლებოდა მტრის ვერაგული მეთოდების გამოცნობა, სამაგიეროდ უკანასკნელ წლებში ჩვენ მკაცრი სკოლა გავიარეთ. ცოტა მსხვერპლი როდი დაგვიჯდა ჩვენ რევოლუციური სიფხიზლის შესუსტება. მავნებლებმა ცოტა ზიანი როდი მიაყენეს ჩვენს საბჭოთა საქმეს.

ახლა ჩვენ ვიწყებთ გამარჯვებათა მოპოვება მტრის საქმიანობის მხილებისა და თავიდან აცილების დარგში და უეჭველად გავანადგურებთ მტრებს საბოლოოდ, რა ნიღაბიც უნდა ჰქონდეთ მათ ამოფარებული, რა იარლიყებითაც უნდა ცხადდებოდნენ ისინი ჩვენთან. ახლა ეს საქმე მტკიცედ აქვთ მოპოვებული ბოლშევიკურ პარტიასა და ჩვენი ქვეყნის მშრომელებს. მთელი ხალხი ეხმარება საბჭოთა დაზვერვის ორგანოებს ხალხის მტრების მხილების საქმეში.

ნუ დავივიწყებთ კაპიტალისტურ გარემოცვას

ამხანაგებო! სოციალიზმის გამარჯვებამ, სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებამ, საბჭოთა მთავრობისა და პარტიის თანამიმდევრულმა სამშვიდობო პოლიტიკამ ჩვენი ქვეყნის მშრომელებისათვის უზრუნველჰყვეს 16 წლის მშვიდობიანი შრომა.

ჩვენ ვიცით, რომ ამ მშვიდობიანობის შენარჩუნება ადვილი როდი იყო. ჩვენ ვიცით, რომ ავანტურისტები, რეაქციონერები, ფაშისტური მთავრობანი მრავალჯერ ისწრაფვოდნენ დაერღვიათ მშვიდობიანობა და ხელი შეეშალათ ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობისათვის. ეს მათ ვერ მოახერხეს იმიტომ, რომ ჩვენ მიგვიძღვება ამხანაგი სტალინი, რომელსაც შესწევს უნარი გამოიცნოს საერთაშორისო ბურჟუაზიის გზები და გზაჯვარედინები, შესწევს უნარი წარმართოს ჩვენი საბჭოთა ხომალდი მშვიდობიანი პოლიტიკის კალაპოტით, გამოიყენოს რა ყველა შესაძლებლობა მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად. სწორედ ამიტომ ჩვენ, საბჭოთა კავშირის მშრომელნი, ვსარგებლობთ მშვიდობიანი შრომის ვითარებით (ტაში).

მაგრამ ჩვენ არ გვაქვს უფლება ერთი წუთითაც კი დავივიწყოთ კაპიტალისტური გარემოცვა. უკვე ის ფაქტი, რომ კაპიტალისტური გარემოცვა ჩვენში ჰგზავნის მზვერავებს, ჯაშუშებს, დივერსანტებს, ტერორისტებს, გვიჩვენებს, თუ რა ფხიზელნი, რა თვალმახვილნი უნდა ვიყოთ, თუ როგორ უნდა გამოვისხათ ოთხი თვალი, რომ ჩვენ რაიმე სისაძაგლე არ გვიყონ.

ჩვენ ვიცით, რომ რეაქციული ფაშისტური სახელმწიფოები ომს ამზადებენ ჩვენს წინააღმდეგ. ამას ჩვენ, რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გავუწიოთ. მაგრამ ჩვენ ამავე დროს ვიცით, რომ იზრდებიან და მტკიცდებიან ის ძალები, რომელნიც მზად არიან გაუმკლავდნენ ფაშიზმს (მქუხარე ტაში).

საბჭოთა კავშირი, მტკიცედ იცავს რა ინტერნაციონალურ პრინციპებს, წარმოადგენს კაცობრიობის ყველა მოწინავე და პროგრესიული ელემენტებისათვის მხარდაჭერისა და მათი მოძრაობის განვითარების მძლავრ ფაქტორს.

ყველასათვის ცნობილია ჩვენი სიმპატიები რესპუბლიკური ესპანეთისადმი. ყველასათვის ცნობილია ჩვენი უღრმესი სიმპატიები ჩინეთის ხალხისადმი, რომელიც ეწევა გმირულ ბრძოლას იაპონელი ავანტურისტების წინააღმდეგ.

დღეს, ლენინის გარდაცვალების 14 წლისთავზე, ჩვენს ფიქრებს, ჩვენს გრძნობებს, ჩვენს საუკეთესო სურვილებს მივმართავთ ესპანეთის მებრძოლი ხალხისადმი, ჩინეთის მებრძოლი ხალხისადმი და მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ისინი გაიმარჯვებენ იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. (მქუხარე ტაში).

ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს სამხედრო ავანტურების შესაძლებლობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. აი რატომ უნდა განვამტკიცებდეთ განუხრელად ჩვენი წითელი არმიის ტექნიკურ შეიარაღებასა და ძლიერებას. აი რატომ მივესალმებით მხურვალედ და ყოველნაირად უნდა გამოვიყენოთ მთავრობისა და უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ იმისათვის, რათა ჩვენს გმირულ წითელ არმიას მივუმატოთ საბჭოთა კავშირის მნიშვნელობისა და ძლიერების შესაფერი, ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ავტორიტეტის შესაფერი, დიდი ძლიერი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. და ამას ჩვენ უეჭველად ვიზამთ. (ტაში).

ჩვენ არ ვივიწყებთ სამხედრო ავანტურების შესაძლებლობას და ფხიზლად უნდა ვიყოთ. თუ მტერი გაბედავს დაარღვიოს საბჭოთა კავშირის წმინდა საზღვრები, მაშინ ჩვენი წითელი არმიის ძალას, ჩვენი მამაცი ავიაციის ძალას, ჩვენი საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალას ჩვენ შევუერთებთ ას სამოცდაათ მილიონიანი საბჭოთა ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობის ყველა ძალას და ვაი იმას, ვინც გაბედავს დაარღვიოს საბჭოთა საზღვრები: იგი იგემებს საბჭოთა ხალხის ერთიანობის გიგანტურსა და უძლეველ ძალას. (მქუხარე ტაში).

ვიყოთ ლენინურ-სტალინური ტიპის მოღვაწენი

ამხანაგებო! ჩვენი წარმატებანი და მიღწევანი მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში ჭეშმარიტად დიდია. მაგრამ ლენინი და სტალინი ჩვენ გვასწავლიან თავს არ გავგვივიდეს, არ ვიყოყოჩოთ წარმატებებით, ფხიზლად შევაფასოთ ისინი. ხალხის მტრების მხილებასთან დაკავშირებით, ფაშისტურ დაზვერვათა აგენტების მხილებასთან დაკავშირებით, ჩვენ დავინახეთ, თუ რა დაგვიჯდა ჩვენი წარმატებების გადაჭარბებით შეფასება და მოწინააღმდეგის ძალების შეუფასებლობა.

არ შეიძლება დავივიწყოთ ლენინისა და სტალინის მითითებანი იმის შესახებ, რომ ჩვენ არ გვაქვს უფლება გადაჭარბებით შევაფასოთ ჩვენი წარმატებანი, რომ უაღრესად მავნებელია თავბრუდახვევა წარმატებებისაგან.

აი ამიტომ ამხანაგ ლენინის მითითებანი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყვნენ ჩვენი პოლიტიკური მოღვაწენი, რათა მუდამ შეინარჩუნონ ხალხის ნდობა, რათა მუდამ იყვნენ მასების ნამდვილი ხელმძღვანელები, ეს მითითებანი ჩვენთვის კანონს წარმოადგენენ.

ჩვენ უნდა ვიყოთ ლენინური ტიპის მოღვაწენი, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი. ჩვენ უნდა ვიყოთ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწენი, როგორც იყო ლენინი. ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუბრალებელნი ხალხის მტრების მიმართ, როგორიც იყო ლენინი, ისეთივე თავისუფალნი პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როგორიც იყო ლენინი, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება საფრთხე. ჩვენ უნდა ვიყოთ ბრძენნი და აუჩქარებელნი, როგორც იყო ლენინი, ყოველგვარი საკითხის გადაჭრის დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა პლუსისა და მინუსის ყოველმხრივ გათვალისწინება. უნდა ვიყოთ ისეთივე გულმართალნი და პატიოსანნი, როგორიც იყო ლენინი, ისევე გვიყვარდეს ჩვენი ხალხი, როგორც უყვარდა იგი ლენინს. უნდა ვისწავლოთ ვიყოთ ისეთივე მოღვაწენი, როგორიც იყო ლენინი და როგორიც არის ამხანაგი სტალინი. (მქუხარე ოვაცია).

ხალხის ნდობა უმაღლესი ნდობაა, რომელიც თვითეულმა ჩვენგანმა უნდა დაიმსახუროს და თვალის ჩინივით გაუფრთხილდეს მას, — აი რა უნდა დავნერგოთ აუცილებლად თვითეული ხელმძღვანელი მუშაკის შეგნებაში.

ჩვენ უნდა განვდევნოთ ჩვენი რიგებიდან — და ამ მხრივ საბჭოთა კონსტიტუცია სრულ შესაძლებლობას გვანიჭებს — იმ ტიპის მუშაკები, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა დაახასიათა, როგორც ადამიანები, „არც ღვთისაა და არც ეშმაკისაა“. (მოწონება დარბაზში).

ასეთი ადამიანები ჩვენში ჯერ კიდევ ცოტანი როდი არიან.

შევეძლოს დავაფასოთ ხალხის ნდობა, შევეძლოს ყველგან და მუდამ, თვითეულ ნაბიჯზე ანგარიში გავუწიოთ ხალხის ნდობას, გულისხმიერად ვუგდოთ ყური მის ხმას, შევამოწმოთ ჩვენი მოქმედება ხალხის საშუალებით, როგორც ამას გვასწავლიდა ლენინი და როგორც ამას გვასწავლის სტალინი, — თავს არ გავგვივიდეს და არ მივეცეთ თავბრუდახვევას წარმატებებისაგან ჩვენი გამარჯვებების გრანდიოზულობასთან დაკავშირებით — ერთი მხრივ, და არ მივეცეთ პანიკას, როცა ჰორიზონტზე რაიმე საფრთხე ჩნდება — მეორე მხრივ — ასეთია ამოცანა.

ამ თვალსაზრისით პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილება პარტიიდან გარიცხვისას და გარიცხულთა აპელაციების გარჩევისას პარტიული ორგანიზაციების მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორების შესახებ წარმოადგენს იმის საუცხოო გაკვეთილს, თუ როგორი პოლიტიკური მოღვაწენი უნდა ვიყოთ ჩვენ.

ამ გადაწყვეტილებაში პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიგვითითებს, თუ რა გაიძვერული ძირგამომთხრელი მუშაობა შეუძლია გასწიოს მტერმა, სარგებლობს რა ბევრი კომუნისტის სიბრმავით, მიმნდობელობითა და უდარდელობით, თუ როგორ შეუძლია მას სახელი გაუტეხოს პატიოსან პარტიულებს, ცილი დასწამოს მათ, მიაღწიოს მათს გარიცხვას პარტიიდან ყოველგვარი ფორმალური მოტივებით.

ცენტრალური კომიტეტის ეს გადაწყვეტილება სტალინური სიბრძნითა და გამჭრიახობით მიგვითითებს მუშაკების კიდევ ერთ ტიპზე, რომელიც ერთგვარად არის გავრცელებული ჩვენს რიგებში, — კარიერისტთა ტიპზე, რომელნიც ცდილობენ დაწინაურდნენ პარტიიდან წევრთა გარიცხვებით და რომელნიც ხელს უწყობენ მტერს, ვინაიდან ისინი აბოროტებენ და პარტიას აშორებენ პატიოსან ადამიანებს.

ამგვარი ადამიანები, ეტყობა, საკმაოდ გამძლე ტიპს წარმოადგენენ, ვინაიდან ჯერ კიდევ შჩედრინი სწერდა:

— „მეშინია ამ მკვირცხლი ახალგაზრდა ადამიანებისა, რომელნიც კარიერის გულისათვის მზად არიან უარჰყონ დედ-მამა, რომელნიც ასე ვთქვათ, ძლივს გამომძვრალან აკვნის არტახებიდან, მაგრამ აქნევენ საჩვენებელ თითს, თითქოს ემუქრებიან უხილავ მტერს, — „მე შენ გაჩვენებ სეირსო!“ (დარბაზში მხიარულებაა მოწონების ნიშნად).

ამგვარი ადამიანები ერთგვარად გავრცელებული არიან ჩვენს პარტიაში. სწორედ ისინი აქვს მხედველობაში ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, რომელიც მიგვითითებს, რომ აუცილებელია ვამხილოთ ამგვარი კარიერისტები, როგორც ისეთები, რომელნიც პარტიას უდიდეს ზიანს აყენებენ.

ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ჩვენ გვაძლევს იმის საგნობრივ გაკვეთილს, თუ ლენინურ-სტალინური ტიპის როგორი მოღვაწენი უნდა იყვნენ ჩვენი ხელმძღვანელები.

* * *

ამხანაგებო! ჩვენ შევედით მესამე სტალინურ ხუთწლედში. ჩვენს ამოცანას წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლება და კულტურის შემდგომი ამაღლება.

სწრაფად და განუხრელად — ამის სრული შესაძლებლობა ჩვენ გვაქვს, — უფროდაუფრო მაღლა უნდა ავწიოთ მშრომელთა კულტურული და მატერიალური მდგომარეობა, წინ წავწიოთ მათი შეძლებული და კულტურული ცხოვრება.

ცნობილია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად ჩვენთვის, სოციალიზმის განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისით, სწორედ კულტურის ამაღლების საკითხს. კულტურის ამაღლების საკითხს ჩვენი პარტია უკავშირებს კომუნიზმის აშენების საკითხს. ჩვენი პარტია და ამხანაგი სტალინი ჩვენს პერსპექტივებს, ჩვენს შემდგომ წინსვლას კომუნიზმისაკენ უკავშირებენ საკითხს სტახანოვური მოძრაობის შესახებ, რომლის მიზანია ამაღლოს მუშები მოწინავე ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კულტურულ დონემდე. სწორედ ამიტომ უწოდა ამხანაგმა სტალინმა სტახანოვურ მოძრაობას „კომუნიზმის მარცვალი“. ეს მარცვალი ჩვენ უნდა გავახაროთ და მზრუნველობით მოვუაროთ, რათა მან თავისი უხვი ნაყოფი გამოიღოს.

ჩვენთვის აუცილებელია მოვსპოთ ჩამორჩენილობა ჩვენი მეურნეობის ზოგიერთ უბნისა, როგორიცაა წყალთა ტრანსპორტი, სატყეო მეურნეობა და სხვ.

გავანადგურეთ რა მავნებლები, ჩვენ მრავალი ახალი ადამიანი დავაწინაურეთ. ჩვენ ვალდებული ვართ ვასწავლოთ მათ და აღვზარდოთ ისინი ლენინურად, სტალინურად, გადავაქციოთ ისინი ლენინურ-სტალინური ტიპის მოღვაწეებად.

ჩვენს წინაშე ამოცანაა: განუხრელად გავაფართოვოთ და განვავითაროთ მოძრაობა შრომის მაღალი ნაყოფიერების სასარგებლოდ. აუცილებელია გავაფართოვოთ და გავაღრმავოთ სტახანოვური მოძრაობა.

არც ისე დიდი ხნის წინათ გამოტანილ იქნა ცენტრალური კომიტეტის ცნობილი გადაწყვეტილება, რომელიც მიგვითითებდა, რომ სტახანოვურ მოძრაობაში ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო ცალკეულ რეკორდებს, არამედ მნიშვნელობა აქვს სტახანოვური მოძრაობის და დამკვრელობის საერთო ამაღლებას, მნიშვნელობა აქვს მუშათა მთელი მასის საერთო ამაღლებას შრომის სტახანოვური ნაყოფიერებისათვის ბრძოლის ნიადაგზე.

ჩვენს წინაშე ამოცანაა: წინ წავწიოთ კოლმეურნე გლეხობის კულტურა და შეძლებულობა, უფროდაუფრო მაღლა ავწიოთ სოფლის მეურნეობის ნაყოფიერება, განვახორციელოთ სტალინის ლოზუნგი „7-8 მილიარდი ფუთი პური წელიწადში“, ლოზუნგი, რომელიც განხორციელებას უახლოვდება მით უფრო, რომ 1937 წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მარცვლეულის მოსავალი უკვე შეადგენდა 7 მილიარდ ფუთს.

მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და იმ დიდძალი საუცხოო მანქანების გამოყენების ამოცანა, რომლებსაც მუშათა კლასი წლითიწლობით სულ უფროდაუფრო მეტს აძლევს საკოლმეურნეო სოფელს — წარმატებით უნდა გადაიჭრას და უეჭველად იქნება გადაჭრილი.

* * *

ამხანაგებო! ჩვენ წილად გვხვდა უდიდესი ბედნიერება პირველებს დაგვეწყო სოციალისტური რევოლუცია. კაპიტალიზმი აღსასრულისაკენ მიდის, მას უკვე აღარ შეუძლია თავის წიაღიდან წამოაყენოს რაიმე პროგრესიული და მოწინავე. გაბოროტება და სასოწარკვეთილება იპყრობენ კაპიტალისტური საზოგადოების გაბატონებულ კლასებს, რომელიც ვერ ხედავს თავისი განვითარების პერსპექტივებს. ბურჟუაზიას მომაკვდინებლად სძულს ახალი სამყარო, სოციალიზმის სამყარო.

სამაგიეროდ მხნედ მიემართებიან წინ საბჭოთა კავშირის ხალხები, სძლევენ რა ყველა დაბრკოლებას თავის გზაზე, ბედნიერნი და ამაყნი იმით, რომ მათ მიუძღვება, აღაფრთოვანებს და ახალი გამარჯვებებისათვის რაზმავს ლენინის საქმის დიადი განმგრძობი—ჩვენი სტალინი (ხანგრძლივი ტაში).

მივაღწიოთ სწრაფ და გადამწყვეტ გარდატეხას რემონტის ტემპებში

რა აფერხებს რემონტს

ტრაქტორების შეკეთების მხრივ გორის მტს-ში უკანასკნელ ათდღიურში (16 იანვრიდან 25-მდე) მიღწეულია ერთგვარი გარდატეხა — რემონტიდან გამოშვებულია 37 ტრაქტორი, სულ კი რემონტის დაწყებიდან დღემდე შეკეთებულია 50 ტრაქტორი—გეგმის 54,3 პროცენტი. თითქმის სავსებით მზად არის აგრეთვე 17 ტრაქტორი (სამი კაპიტალური რემონტით და შვიდ-შვიდი მიმდინარე და საშუალო რემონტით).

გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ნ. ბაბიჩის, ალ. მიხაილოვის, ვ. კოვალენკოსა და ალ. ონიაშვილის ბრიგადებმა. ვ. კოვალენკოს ბრიგადამ, ნაცვლად 4 ტრაქტორისა, შეკეთა 6 ტრაქტორი, ალ. ონიაშვილის ბრიგადამ — სამის ნაცვლად 5 ტრაქტორი, ხოლო ალ. მიხაილოვისამ ნაცვლად 5-ისა —7 ტრაქტორი, ნ. ბაბიჩმა კი გეგმით გათვალისწინებული 5 ტრაქტორის მაგიერ—6 ტრაქტორი.

რემონტის საქმეში წინ მიდიან აგრეთვე გ. ნაცვლიშვილის, სან. აბუაშვილისა და შ. რუსიშვილის ბრიგადები. ამჟამად ბრიგადებმა, რომლებმაც შეასრულეს რემონტის გეგმები, ბუქსირზე აიყვანეს ჩამორჩენილი ბრიგადები: პ. ლაზარაშვილის, ი. გაზაშვილის და ლ. თარაშვილისა. გორის მტს-მა ვალდებულებათა შესრულებაში წახალისების მიზნით 2.250 მანეთით დააჯილდოვა სახელოსნოს საუკეთესო მუშაკები.

მტს-ის მუშაობას კვლავ მეტად აფერხებს ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების სათადარიგო ნაწილების უქონლობა. მიუხედავად იმისა, რომ ავტო-სატრაქტორო მრეწველობის მთავარ სამმართველოს საქართველოს განყოფილებას და საქსოფლმომარაგებას შემოდგომაზე მიეცათ სათანადო დაკვეთა, მათ 112 სახელწოდების სათადარიგო ნაწილებიდან მხოლოდ 40-მდე სახელწოდების ნაწილები შემოიტანეს და ისიც საჭირო რაოდენობის არა უმეტეს 50 პროცენტისა. ამ მდგომარეობის გამო აქ ყოველდღიურად მომცდარია რამდენიმე კაცი და ხშირად მთელი ბრიგადაც. ამჟამად გორის მტს-ში შეჩერებულია 12 ტრაქტორის რემონტი, რომელთაც აკლიათ საკვები მილები, დინამოს რგოლი, ნავთის ჭიქები და მაგნეტოს იმპულსატორი.

განსაკუთრებულ უპასუხისმგებლობას იჩენს ავტო-სატრაქტორო მრეწველობის მთავარ სამმართველოს გორის განყოფილება (გამგე ვ. კოვალენკო). მან რკინიგზის სადგურში მოსული ტრაქტორების ნაწილები—12 ყუთი 25 დღის დაგვიანებით ჩაიბარა. საქონლის სადგურის გამგის მაღრაძისა და მწონავ გ. გაგნიძის უპასუხისმგებლობასთან ერთად, საქმე შეაფერხა იმანაც, რომ ყუთების რაოდენობა სწორი იყო, მაგრამ ავტო-სატრაქტორო მრეწველობის მთავარ სამმართველოს განყოფილებისა და რკინიგზის საბუთები ზუსტად არ ეთანხმებოდა ერთმანეთს. ამ საქმეში უსულგულობა გამოიჩინეს გორის რკინიგზის სადგურის ხელმძღვანელმა მუშაკებმაც, მათ უარი განაცხადეს აქტის შედგენაზე, ხოლო ავტო-სატრაქტორო მრეწველობის მთავარ სამმართველოს განყოფილებამ ეს საკითხი დროზე არ დააყენა, სადაც საჭირო იყო.

გორის მტს-ის მუშაობას აფერხებს აგრეთვე მაგნეტოსა და დინამოების შემკეთებლის უქონლობა, დეტალების საკონტროლო და სხვა იარაღების (მათ შორის ქლიბების, ბურღების) უქონლობა.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებით გორის მტს-მა რემონტის გეგმა 10 თებერვლისათვის უნდა შეასრულოს, ხაშურის რაიონთან დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების მიხედვით კი — 5 თებერვალს. მაგრამ აღებული ტემპები ვერ უზრუნველჰყოფენ ტრაქტორების და მისაბმელი ინვენტარის დროულად და მაღალხარისხოვნად შეკეთებას. უკანასკნელ ხანებში ერთგვარი გარდატეხის მიუხედავად მტს-ში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ორგანიზაციულ-ტექნიკურ მოუწესრიგებლობას, გაცდენებს. ფართოდ არ არის გამოყენებული ადგილობრივი რესურსები, მოუგვარებელია ტრაქტორისტთა საყოფაცხოვრებო პირობები. მოისუსტებს მასობრივ - პოლიტიკური მუშაობა. ნაკლები ყურადღება ექცევა მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. ამავე დროს, მტს-ის დირექცია ჩამორჩენას „ობიექტური“ მიზეზებით ხსნის. საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება ჩამორჩენის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად.

ტრ. თოდრაძე

გუთნებისა და სათესების შეკეთება

საგაზაფხულო თესვისათვის წელს საქართველოს მტს-ებმა თავიანთი პარკის 1570 გუთანი და 600 ცალი სათესი უნდა შეაკეთონ. როგორც ტრაქტორების, ისე გუთნებისა და სათესი მანქანების შეკეთების დამთავრების ვადა უკვე მოახლოვებულია. მიუხედავად ამისა, გეგმის შესრულება მთელ რიგ მტს-ებში მეტად ჩამორჩენილია. 25 იანვრისათვის გუთნების შეკეთების პროცენტი 39,2-ს არ აღემატებოდა, ხოლო სათესი მანქანებისა — 27,2 პროცენტს. უკანასკნელ ხუთდღიურში (20-25 იანვარი) შეკეთდა გუთნების მხოლოდ 8,2 პროცენტი, სათესებისაც — ამდენივე პროცენტი.

გუთნების შეკეთების მხრივ აშკარად საგანგაშო მდგომარეობაა ახალსოფლის, სტალინირის, თბილისის, ყარაიას, ბაშკიჩეთისა და წალკის მტს-ებში. მათ დღემდე არ შეუკეთებიათ არცერთი გუთანი (უნდა შეეკეთებინათ 232 გუთანი), ხოლო ზუგდიდის, ქუთაისის, ლაგოდეხის, წნორის, გურჯაანის, წეროვნის, კასპისა და ახალქალაქის მტს-ებში გეგმის შესრულება 10,5—30 პროცენტს არ აღემატება.

მიწსახკომის ნაკრები ცნობების მიხედვით, 20-25 იანვრამდე ერთი გუთანიც არ შეუკეთებიათ ახალციხის, ახალქალაქის, აგარის, კასპის, საგარეჯოს, წითელწყაროს, ასურეთის, თიანეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, ხობის, ლანჩხუთის, გალის, ოჩამჩირისა და სოხუმის მტს-ებს.

ცუდი მდგომარეობაა სათესების შეკეთებაშიც. ეს სამუშაო არც კი დაუწყიათ ბოგდანოვკის, ახალსოფლის, სტალინირის, ყარაიას, ბაშკიჩეთის, ახალციხის, წალკის, კასპის, წეროვნის, ლუქსემბურგის, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, თიანეთის, ვანის, ზესტაფონის, აბაშის, ცხაკაიას, ზუგდიდისა და მახარაძის მტს-ებს.

სათესების შეკეთებაში დიდი ჩამორჩენაა აგრეთვე გორის, წნორის, წითელ-წყაროს, ყვარლის, საგარეჯოს, ასურეთის, სოხუმისა და მთელ რიგ სხვა მტს-ებში (შესრულებულია გეგმის დაახლოებით 50 პროცენტამდე). ამ მდგომარეობის შედეგად საქართველოს მტს-ებს 25 იანვრისათვის შეუკეთებელი ჰქონდათ 380 ცალი სათესი მანქანა, აქედან კასპში — 42, გურჯაანში — 26, ახალსოფლის მტს-ში — 24.

მისაბმელი ინვენტარის შეკეთების მიმდინარეობა ნათლად გვიჩვენებს, რომ რემონტის ასე გაჭიანურებამ შესაძლოა გამოიწვიოს ტრაქტორების მოცდენა და თესვის გეგმების ჩაშლა. აუცილებელია ეს მდგომარეობა ახლავე კარგად გაითვალისწინონ ჩამორჩენილი მტს-ების ხელმძღვანელებმა და უახლოეს დღეებში გამოასწორონ ჩამორჩენა.

უდარდელები ცაგერის რაიმიწგანიდან

(„კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

რაიმიწგანის გამგეს ამხ. ა. გუგავას მივმართეთ შეკითხვით საკოლმეურნეო იარაღ-მანქანების რემონტის გეგმის შესახებ. მან განცვიფრებით შემოგვხედა, მაგიდაზე დაყრილ გროვა ქაღალდებში ქექვა დაიწყო და განაცხადა:

— გეგმა ჩემთან არ არის, მიმართეთ უფროს აგრონომს.

— გაქვთ თუ არა საკოლმეურნეო იარაღ - მანქანების რემონტის გეგმა? — შევეკითხეთ რაიმიწგანის უფროს აგრონომს ამხ. ვ. ჩაკვეტაძეს.

— რასაკვირველია, გვაქვს, — რიხით განაცხადა მან.

ჩაკვეტაძემ დაიწყო გეგმის ძებნა მაგიდის უჯრებში, ქაღალდებსა და სხვადასხვა „საქმეებში“. ვერ იპოვნა. კარგა ხნის ძებნის შემდეგ კი იგი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ რაიმიწგანს საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო მანქანა-იარაღების რემონტის გეგმა არ გააჩნია და მათ არც რაიმე იციან კოლმეურნეობებში ამ მხრივ არსებულ მდგომარეობაზე.

იარაღ - მანქანების რემონტი რაიმიწგანს მანამდე არ გაახსენდა, სანამ საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომმა არ განიხილა საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხი. ეს იყო 3 იანვარს. მიწგანის აპარატის მუშაკებმა ამის შემდეგაც ბიუროკრატული ფუსფუსი განაგრძეს და მხოლოდ 10-11 იანვარს დაუგზავნეს კოლმეურნეობებს მიმართვები შესაკეთებელი მანქანა - იარაღების აღრიცხვისა და სამისო მასალების მიწგანში წარმოდგენის შესახებ.

გამოდის, რომ ცაგერის რაიმიწგანის ხელმძღვანელები იარაღ-მანქანების რემონტის გეგმას მაშინ შეადგენენ, როცა ხვნა-თესვის დრო დადგება.

მიწგანის გამგე ა. გუგავა თავს იმით იმართლებს, რომ „საქსოფლმომარაგება“ არ იძლევა რემონტისათვის საჭირო რკინა-ფოლადს. ეს სწორია, მაგრამ საინტერესოა: სად აპირებს მიწგანის გამგე მანქანა-იარაღების რემონტს, როცა ჯერ სამჭედლოების მოწყობა და კოლმეურნეობებში მჭედელთა კადრის გამონახვა არ გახსენებია?

რაიმიწგანს 10 იანვრამდე უნდა მოეწყო სამჭედლოები ცაგერის, ორბელსა და ლაილაშში, რომლებიც მომსახურებას გაუწევდნენ რაიონის ყველა კოლმეურნეობას. მიწგანის გამგეს კი დღემდე არ „გახსენებია“ ამ დავალების შესრულებაზე ზრუნვა.

კოლმეურნეობები რაიმიწგანის დახმარებას ელოდებიან, ხოლო მიწგანის მუშაკები რაიაღმასკომის განყოფილებებში სიარულსა და უსაქმო ფაციფუცში ჰკარგავენ დროს.

გ. ყურაშვილი.

სუსტად ემზადებიან

წალენჯიხა. წალენჯიხის ლ. ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოვალეობის ამსრულებელი ამხ. ჩხენკელი საგაზაფხულო სას.-სამ. კამპანიისათვის მზადებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

ამ მეურნეობაში შესაკეთებელია 5 ავტომანქანა, სამი ტრაქტორი, ტრაქტორისა და ცხენის 11 გუთანი და 11 კულტივატორი. მეურნეობას აკლია საწვავი მასალა, საერთოდ აქ საწვავი მასალის მომჭირნეობით ხარჯვაზე არ ზრუნავენ. ნავთი და მაზუთი ხშირად იღვრება, ხოლო დირექტორის მოვალეობის აღმსრულებელი ჩხენკელი, რომელიც ვალდებულია იზრუნოს ამ საკითხების მოწესრიგებაზე, კაბინეტს არ სცილდება.

ვ. ზარქუა

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე განზე დგას

ქუთაისი. სოფელ გვიშტიბის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ თავმჯდომარე ვ. კუჭავა საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მძრალად ხვნის გეგმა აქ ფაქტიურად ჩაიშალა. ახალი იარაღ-მანქანების შეძენასა და ძველის რემონტზე თავს არ იწუხებენ. მუშა-პირუტყვს წესიერად არ უვლიან. მსგავსი მდგომარეობაა ამავე სოფლის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაშიც. გვიშტიბის სოფლსაბჭოს თავმჯდომარე ბ. ბოხოხიძე კი განზე დგას და არავითარ ზომებს არ ღებულობს თესვისათვის მზადებაში არსებული ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

ეგ. გვასალია

მუშა-პირუტყვი დაივიწყეს

ბორჯომი. სოფელ ცემის ეჟოვის სახელობის კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრა სათესლე მასალის გამოყოფა და გაწმენდა. დამთავრებულია აგრეთვე იარაღ-მანქანების რემონტი, მაგრამ მუშა-პირუტყვი დაივიწყეს.

კოლმეურნეობის 16 ხარი ცუდი მოვლით დასუსტებულია. პირუტყვის მოვლაში აქ აშკარა გაუპიროვნებას აქვს ადგილი. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ტაბატაძემ, ნაცვლად იმისა, რომ მუდმივი მომვლელები გამოეყო, პირუტყვის მოვლისათვის მორიგეობა შემოიღო. მუშა-პირუტყვს თითო კვირით ხან ერთი კოლმეურნე უვლის, ხან მეორე. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა კი ამ მხრივ არავის დაეკისრება.

ა. კოდიშაძე

საბჭოთა კავშირში

ემზადებიან სახელოვანი იუბილესათვის

დნეპროპეტროვსკი, 27 იანვარი (საკდესი). წითელი არმიის დნეპროპეტროვსკის სახლი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის იუბილესათვის აწყობს სამ დიდ მხატვრულად გაფორმებულ გამოფენას შემდეგ თემებზე: „სამოქალაქო ომის ისტორია“, „სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება“, „ფაშისტთა მზადება ომისათვის“. აქვე ეწყობა წითელარმიელი მხატვრებისა და მოქანდაკეების ნამუშევართა გამოფენა.

დნეპროპეტროვსკის გარნიზონის ნაწილებში აქტიურად ემზადებიან წითელარმიული სამხატვრო თვითმოქმედების ოლიმპიადისათვის. მასში მონაწილეობას მიიღებს 400-ზე მეტი შემსრულებელი. № ნაწილის წითელარმიული ჯაზი ოლიმპიადაზე საჩვენებლად სწავლობს დიდ ლიტერატურულ მუსიკალურ მონტაჟ „კომსომოლიას“.

დნეპროპეტროვსკის თეატრების კოლექტივები წითელი არმიისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის 20 წლისთავისათვის ამზადებენ დიდ საღამოს — ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებითი პატაკი გარნიზონის მეომრებს.

სტალინის რკინიგზის თავდაცვაავიაქიმის ორგანიზაციები ჩაატარებენ მსროლელთა დაუსწრებელ შეჯიბრებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 1500 ვოროშილოველი მსროლელი და სასროლო სპორტის 250 ოსტატი.

კიევის იანვრის აჯანყების 20 წლისთავისათვის

კიევი, 27 იანვარი (საკდესი). კიევის წითელდროშოვანი ქარხნის კოლექტივი დიდი აღფრთოვანებით ემზადება კიევის იანვრის აჯანყების 20 წლისთავის აღსანიშნავად.

20 წლის წინათ, 1918 წლის 28 იანვარს ღამით, წითელდროშოვანი ქარხნის გმირმა მუშებმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით აჯანყება მოაწყეს კონტრრევოლუციური ცენტრალური რადის წინააღმდეგ. მათ სახელოვანი ფურცელი ჩასწერეს უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში.

ქარხანაში შექმნილია კომისია იუბილეს ჩასატარებლად. აჯანყების მონაწილენი თავიანთ მოგონებებს უზიარებენ ახალგაზრდა მუშებს საამქროებში, მოუთხრობენ მათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის გმირულ დღეებზე. რევოლუციის მსხვერპლთა სახელობის პარკში აჯანყების დროს დაღუპულების ძმათა საფლავზე გაიმართა ქარხნის მუშათა მიტინგი.

„მურმანეცი“ ყინულის ნაპირზე

„მურმანეცი“, 26 იანვარი (საკდესის სპეცკორი). ვიმყოფებით გამსკდარი ყინულის ნაპირას, დაახლოებით 85 მილის მანძილზე პაპანინელთა ბანაკიდან. ჩვენი კოორდინატები დღეს 12 საათზე არის ჩრდილო განედის 75 გრადუსი და 30 წუთი და დასავლეთ გრძედის 8 გრადუსი და 30 წუთი.

ჰქრის ჩრდილო - აღმოსავლეთის 5 ბალიანი ქარი. ტემპერატურა უდრის მინუს 16 გრადუსს.

ქრონიკა

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და პოლონეთის რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მიერ ერთმანეთისათვის ნოტების გაგზავნის შედეგად მთელ რიგ სარკინიგზო ინციდენტთა შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ზდოლბუნოვოს სადგურზე, პოლონეთის საელჩომ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს ნოტით აცნობა, რომ პოლონეთის მთავრობამ მიიღო ზომები სიფხიზლის გასამახვილებლად, რასაც მიზნად აქვს ნორმალური სარკინიგზო მიმოსვლის უზრუნველყოფა შეპეტოვკა — ზდოლბუნოვოს უბანზე.

საპასუხო ნოტაში ა-წ. 27 იანვრის თარიღით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა აცნობა პოლონეთის საელჩოს, რომ იგი კმაყოფილებით ღებულობს ცნობად ამ ამბავს.

(საკდესი).

აგიტატორთა კადრების მომზადება

მოსკოვი, 27 იანვარი (საკდესი). საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტი უდიდეს მუშაობას აჩაღებს აგიტატორთა კადრების მოსამზადებლად. ოლქის რაიონებში მოწყობილია ათდღიანი კურსები, სადაც სწავლობს 5200 აგიტატორი; მათ შორის არის დიდძალი უპარტიო აქტივი, რომელიც ენერგიულ მონაწილეობას ღებულობდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩატარების მომზადებაში.

სულ იანვარ-თებერვლის განმავლობაში მოკლე ვადიანი კურსები უნდა გაიაროს დაახლოებით 15.000 კაცმა.

კურსების მსმენელები მეცადინეობენ იმ პროგრამის მიხედვით, რომელიც რეკომენდებულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული პროპაგანდის განყოფილების მიერ; ისინი სწავლობენ აგრეთვე უზენაესი საბჭოს პირველი სესიისა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

გაიხსნა სუბტროპიკული კულტურების სპეციალისტთა საკავშირო თათბირი

(ტელეფონით ჩვენი სოხუმელი კორესპონდენტისაგან)

28 იანვარს სოხუმში გაიხსნა საკავშირო თათბირი სუბტროპიკული კულტურების კარანტინის ღონისძიებათა ერთიანი სისტემის დასამუშავებლად.

თათბირს ესწრებიან სუბტროპიკების სპეციალისტები მოსკოვიდან, თბილისიდან, აგრეთვე ადგილობრივი აგრონომები, აფხაზეთის და აჭარის მიწსახკომების სპეციალისტები, სტახანოველები და სხვ.

პირველ სხდომაზე თათბირმა მოისმინა ამხანაგების ეფიმოვის, ჩოჩიას, გოგიბერიძის და სტეფანოვის მოხსენებები ტენიანი სუბტროპიკების დაავადების და ერთიან კარანტინულ ღონისძიებათა შემოღების შესახებ.

საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე ამხ. არუთინოვის და ამხ. ისაევის მოხსენებები.

29 იანვარს მოისმენენ თანამოხსენებებს და დაიწყება კამათი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ბეჭვაია და აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ა. რაფავა.

თათბირი გაგრძელდება 2 თებერვლამდე. იგი შეაჯამებს არსებულ მდგომარეობას და შეიმუშავებს ერთიან პრაქტიკულ ღონისძიებებს სუბტროპიკების მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ.

მერკვილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკელთა ჯარებმა კვლავ აიღეს ხელში საბრძოლო მოქმედებათა ინიციატივა

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობებით)

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, ორი დღის შედარებითი სიწყნარის შემდეგ აღმოსავლეთის ფრონტის ტერუელის უბანზე რესპუბლიკელთა ჯარებმა კვლავ აიღეს ხელში საბრძოლო მოქმედებათა ინიციატივა. შეაჩერეს რა მეამბოხეთა წინსვლა მდინარე ალფამბრის მარცხენა ნაპირზე, რესპუბლიკელთა ჯარებმა 25 იანვარს გარიჟრაჟზე იერიში მიიტანეს მეამბოხეთა წინააღმდეგ სინგრის სექტორში, ტერუელის ჩრდილოეთით 30 კილომეტრის მანძილზე, რკინიგზასთან, რომელიც ტერუელს აკავშირებს კალატაიუდთან.

რესპუბლიკელთა ჯარებმა, რომლებსაც დახმარებას უწევდნენ მრავალრიცხოვანი ავიაცია და ტანკები. ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ იერიში მიიტანეს მეამბოხეთა მიერ გამაგრებულ ერთერთ სიმაღლეზე და ხანმოკლე, მაგრამ გააფთრებული ბრძოლის შემდეგ, დაიკავეს იგი.

ავიაციის მოქმედება

რესპუბლიკელთა 50 თვითმფრინავმა, რომლებიც ხელს უწყობდნენ რესპუბლიკელთა ნაწილების წინსვლას სინგრის სექტორში, ყუმბარები დაუშინეს მეამბოხეთა განლაგების ადგილებს სინგრის რაიონში. სიერა პალომერის რაიონში რესპუბლიკელთა თვითმფრინავების მეორე ჯგუფმა ბრძოლა გაუმართა მეამბოხეთა მძიმე ყუმბარმტყორცნების ესკადრილიას, რომლებიც სწრაფმავალი ავიაგამანადგურებლების თანხლებით მიდიოდნენ. **ბრძოლის დროს ჩამოაგდეს მეამბოხეთა ერთი სამმოტორიანი ყუმბარმტყორცნი, ასეთივე ტიპის დანარჩენი ორი ყუმბარმტყორცნი მიიმალა,** დასტოვეს რა თავის უკან კვამლის ღრუბლები.

აჯანყება მეამბოხეთა ჯარებს შორის

პარიზი, 27 იანვარი (საკდესი). ესპანის სააგენტო იუწყება, რომ ესპანელ მეამბოხეთა ბანაკიდან გამოქცეულ პირთა მრავალი ჯგუფის განცხადებით, 4 იანვარს სარაგოსაში მეამბოხეთა ჯარებს შორის მოხდა აჯანყება. აჯანყდა არაგონის მე-17 ქვეითი ლეგიონი, რომლის ყაზარმებში ნამდვილი ბრძოლა გაიმართა. ამ ბრძოლის შედეგად მოკლულია რამდენიმე კაცი და დაიჭრა მრავალი კაცი. აჯანყება ჩააქრეს. მისი მონაწილენი დახვრიტეს. დახვრეტილთა შორის არიან — 3 კაპიტანი, 4 ლეიტენანტი და 10 ჯარისკაცი.

შანტაჟის ატმოსფერო ერთა ლიგის კულუარებში

ჟენევა, 27 იანვარი (საკდესი). დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლების გამოსვლის მოლოდინში ერთა ლიგის საბჭოს დღევანდელ საღამოს სხდომაზე ლიგის კულუარებში გამეფებულია ატმოსფერო შანტაჟისა. შანტაჟი გამომდინარეობს იმ უეჭველი ფაქტიდან, რომ ინგლისსა და საფრანგეთს სურთ, რამდენადაც შეიძლება, თავიდან აიცდინონ რაიმე უთანხმოებათა გამომჟღავნება საბჭოში. შანტაჟის გზით რუმინეთის მთავრობამ მიაღწია იმას, რომ უარი განაცხადა რუმინეთში არსებული ებრაელთა დევნის საკითხი ლიგაში განეხილათ. მთელი ღამის განმავლობაში გამომჟღავნდა, რომ ჩილის მთავრობამ, რომელსაც ის იყო უნდა მოეხსნა საბჭოს დღისწესრიგიდან ედვარდის ყბადაღებული წინადადება (იმის შესახებ, რომ გამოეთხოვენათ ლიგის მტრებისაგან მათი აზრი ლიგის წესდების რეფორმის თაობაზე), ამჟამად გადასწყვიტა არ დააჩქაროს ეს ნაბიჯი. დღეს დილით შეიკრიბნენ ე. წ. ნეიტრალური ქვეყნების — შვეციის, ნორვეგიის, დანიის, ჰოლანდიის, ბელგიის და შვეიცარიის წარმომადგენლები. გადაწყდა, რათა ამ ჯგუფის ქვეყნების წარმომადგენლებს საბჭოში (შვეციას და ბელგიას), აგრეთვე ჯგუფის თვითეულ მონაწილეს ცალცალკე მიეცეთ შესაძლებლობა გამოვიდნენ განცხადებით იმის შესახებ, რომ ისინი გამოიყენებენ მომავალში ერთა ლიგის მე-16 მუხლს (სანქციების შესახებ), მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მოსაზრებით, თუ დიდი სახელმწიფოების განცხადებები არ შეიტანენ ამ საკითხში საკმაო „გარკვეულობას“.

მოკლე ცნობები

— „ბრიტიშ იუნაიტედ პრესის“ და „ექსჩეინჯ ტელეგრაფის“ სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ 28 იანვარს ვეიჰაივეის (შანდუნის პროვინცია) ნავსადგურში ინგლისის გემ „სანდვიჩიდან“ გადმოსხეს ინგლისელ მეზღვაურთა რაზმი.

— „ნე სუარში“ დაბეჭდილია გიბრალტარიდან მიღებული დეპეშა, რომ გუშინწინ ალხესირასის რაიონში მოხდა განსაკუთრებული ძალის აფეთქება, რომელიც გამოწვეულია თოფისწამლის საწყობში გაჩენილი ხანძრით. აფეთქებისთანავე დააპატიმრეს მრავალი კაცი ალხესირასის სამხედრო წრეებიდან.

— ბუქარესტიდან მიღებული ცნობების თანახმად, უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის აუდიტორიაში ფაშისტმა ბანდიტებმა ყველა სტუდენტის თვალწინ ტანთ გახადეს სამ სტუდენტ ებრაელ ქალს და გაროზგეს ისინი.

— ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სამინისტროს ცნობით, 1937 წლის დეკემბერში უმუშევართა რიცხვი მრეწველობაში ნოემბერთან შედარებით 500 ათასი კაცით გაიზარდა.

— „ლუმანიტე“-ს ცნობით, პარმში (ჩრდილო იტალია) 500 ქალი ძუძუმწოვარა ბავშვებით გამოვიდა მთავარ მოედანზე პროტესტით ომის წინააღმდეგ და მოთხოვნით, რათა დააბრუნონ მათი ქმრები, რომლებიც ძალით გაგზავნეს ესპანეთში.

მე-8 არმიის ბრწყინვალე წარმატებანი ჩრდილოეთ ჩინეთში

ლონდონი, 26 იანვარი (საკდესი). „დეილი უორკერი“ იუწყება, რომ ჩინეთის ნაციონალურ-რევოლუციური მე-6 არმიის რაზმებმა სასტიკად დაამარცხეს იაპონელთა ჯარები მთელ რიგ პუნქტებში შანსისა და ხებეის პროვინციათა საზღვრების გასწვრივ. მერვე არმიის რაზმებმა შეიტყუეს იაპონელები მთიან უდაბურ ადგილას, გარშემოერტყნენ მათ და იერიში მიიტანეს. მოკლულია 300 იაპონელი. მე-8 არმიის რაზმებმა ხელში ჩაიგდეს აგრეთვე ქალაქი ძანხუანი ხებეის პროვინციის დასავლეთ ნაწილში.

შანდუნის პროვინციაში ჩინელმა პარტიზანებმა მოულოდნელი დარტყმით გაანადგურეს იაპონელები და ხელახლად დაიკავეს ორი ქალაქი ტენჯოუსა და ძინინს შუა. იმავე დროს ჩინელებმა მოიგერიეს იაპონელების მიერ ფოფესიანზე მიტანილი იერიში (იანჯოუს სამხრეთ-აღმოსავლეთით).

ხანკოუ, 26 იანვარი (საკდესი). ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის სექტორში შანდუნის პროვინციაში გრძელდება ძლიერი ბრძოლა ქალაქ ძინინის გარშემო. იაპონელთა ჯარებმა უკან დაიხიეს ჩრდილოეთით ციუიფუდან ტაიანში. იაპონელთა სარდლობა აქეთკენ სასწრაფოდ ჰგზავნის დიდ დამხმარე ძალებს.

ლონდონი, 26 იანვარი (საკდესი). ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ჩინელთა სამხედრო ხელისუფალთ უბრძანეს სუიიუანის პროვინციაში მომქმედ პარტიზანთა რაზმებს დაიწყონ საერთო შეტევა იაპონელთა ჯარების წინააღმდეგ.

ხებეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ქალაქ დამინის რაიონში ჩინელ პარტიზანთა რაზმებმა შეავიწროვეს იაპონელთა ნაწილები, რომლებიც იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ და გადასულიყვნენ მდინარე ვეიზე. დიდძალი იაპონელი ჯარისკაცები დაიხრჩნენ მდინარეზე გადასვლის დროს, მათ ჩინელები ტყვიამფრქვევს უშენდნენ. პარტიზანებმა დაიკავეს ლუნვანმიაო (დამინის სამხრეთით).

ცენტრალურ ჩინეთში

ხანკოუ, 26 იანვარი (საკდესი). ჩინელი ჯარების კონტრშეტევასთან დაკავშირებით ქალაქ უხუს რაიონში (ანხუეის პროვინცია) იაპონელთა გარნიზონი ქალაქში გადიდებულია 10 ათას ჯარისკაცამდე. 25 იანვარს ავიაციის საფარველ ქვეშ იაპონელთა ჯარებმა დაუწყეს შეტევა უხუს ირგვლივ მთის მაღლობებს, სადაც ჩასაფრებული იყვნენ პარტიზანები და ჩინეთის რეგულარული არმიის რაზმები.

25 იანვარს ჩინელთა თვითმფრინავებმა ხელახლა დაუშინეს ყუმბარები სიუანჩენს (უხუს სამხრეთ-აღმოსავლეთით) და იაპონელთა პოზიციებს ამ რაიონში.

შანხაი, 26 იანვარი (საკდესი). 26 იანვარს ჩინელ ყუმბარმზიდთა ესკადრილია თავს დაესხა ნანკინს.

სამხრეთ ჩინეთში

ლონდონი, 26 იანვარი (საკდესი). „ტაიმსი“ სწერს, რომ 25 იანვარს ნანტოუს (მარგალიტის მდინარის შესართავში ჰონკონგის საზღვარზე) ბომბარდირებაში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო იაპონიის კრეისერებმა, არამედ იაპონიის თვითმფრინავებმაც. იაპონიის თვითმფრინავები განსაკუთრებული სიძლიერით დაესხენ თავს აეროდრომს შეკპაიში. იაპონელებმა რამდენიმე მძიმე ყუმბარა გადმოყარეს ტუნიაახის მახლობლად, სადაც წინათ იმყოფებოდა უცხოელთა დიდი რეზიდენცია. დაინგრა რამდენიმე სახლი, მათ შორის იტალიის საკონსულოს შენობა.

დამსწრე ჩინელები ამბობენ, რომ 22 იანვარს იაპონელთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს და ტყვიამფრქვევებით სროლა აუტეხეს მოტორიან გემებს მდინარეში, ჩაძირეს ორი მოტორიანი ნავი მგზავრებიანად. დაიღუპა 100-ზე მეტი კაცი.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ აღნიშნავს, რომ ჰონკონგის გარშემო თავმოყრილია ამჟამად იაპონელთა დიდძალი სამხედრო გემები.

იაპონელთა უწესოებანი ოკუპირებულ ადგილებში

კანტონი, 27 იანვარი (საკდესი). უცხოეთის პრესა შანხაიდან იუწყება, რომ ნანდაოში (შანხაის რაიონი) განუწყვეტელი ხანძარია. განადგურებულია უკვე მთელ შენობათა ნახევარზე მეტი ქალაქის ამ ჩინურ ნაწილში. იაპონელმა ჯარისკაცებმა პირწმინდად გაძარცვეს ჩინელთა სახლები, ისინი ცეცხლს უკიდებენ სახლებს. მშვიდობიან მცხოვრებთა ცდას თავი დაიცვან იაპონელთა ჯარისკაცების ამ მოქმედებისაგან მოსდევს მათი სისხლიანი შემუსრვა. მოკლული ჩინელების გვამებს ყოველ ნაბიჯზე შეხვდება კაცი ნანდაოში. იაპონელი ჯარისკაცები გულგრილად ხოცავენ ჩინელ მუშებს, როცა ისინი არ ასრულებენ მათს განკარგულებებს იაპონური ენის უცოდინარობის გამო. ხშირია შემთხვევები, როდესაც იაპონელები ცოცხლივ მარხავენ მიწაში ჩინელებს, რომლებიც შემდეგ საშინელი ტანჯვით იხოცებიან. იაპონელი ჯარისკაცების მიერ ქალებისა და ქალიშვილების გაუპატიურების შემთხვევები ოკუპირებულ ადგილებში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

როგორც გაზეთი „ჩაინა პრესი“ იუწყება, 200 ათასი ლტოლვილი ნანკინში და 30 ათასი ხანჯოუში უსურსათოდ არის. მათ არა აქვთ აგრეთვე სამედიცინო დახმარება. იმავე დროს იაპონელები ყოველმხრივ ეწინააღმდეგებიან საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ ლტოლვილთათვის დახმარების გაწევას. ამის გამო ყოველდღიურად ათასობით ჩინელი ესალმება წუთისოფელს.

შოთა რუსთაველის ძეგლი ახალციხესა და ს. რუსთავში

ასპინძის რაიონის სოფ. რუსთავში (17 კილომეტრის მანძილზე ახალციხიდან), რომელსაც ხალხური გადმოცემა „ვეფხის-ტყაოსნის“ გენიალური შემოქმედის შოთა რუსთაველის სამშობლოდ სთვლის, ასპინძისა და ახალციხის რაიაღმასკომების, ადგილობრივი კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენელთა, კოლმეურნეთა, მოწაფეთა და თბილისიდან აქ ჩამოსულ ქართველ მწერალთა ბრიგადის თანდასწრებით შესდგა შოთა რუსთაველის ძეგლის საძირკვლის საზეიმო ჩაყრა.

პოეტის ძეგლი-ბიუსტი დაიდგმება ახალციხეში მიმავალ გზატკეცილის მახლობლად. ბიუსტი იდგმება ადგილობრივი მარმარილოს პოსტამენტზე. გზატკეცილიდან ძეგლის ადგილამდე ეწყობა ფართო კიბე. ძეგლის გარშემო განზრახულია გაშენდეს სკვერი, ხოლო ძეგლთან გაყვანილი იქნას წყარო.

ძეგლის მახლობლად იქნება სკოლა, რომელსაც შოთა რუსთაველის სახელი მიეკუთვნება.

შოთა რუსთაველის ძეგლი-ბიუსტის საძირკვლის საზეიმო ჩაყრა შესდგა აგრეთვე ახალციხეში, საქალაქო ბაღში. ძეგლის პოსტამენტი მზადდება იტალიური მარმარილოსაგან; მასზე გამოკვეთილი იქნება აფორიზმები შოთა რუსთაველის პოემიდან.

ორივე ძეგლი-ბიუსტი მზადდება მოქანდაკე ვ. თოფურიძის პროექტით და დაიდგმება მიმდინარე წელში.

ასპინძისა და ახალციხის რაიონების მშრომელნი მხურვალედ მიესალმებიან საყვარელი პოეტის ძეგლის დადგმას ს. რუსთავში და ქ. ახალციხეში.

ფრიადოსან სტუდენტთა ექსკურსიები

უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის საქართველოს რესპუბლიკურმა კომიტეტმა საზამთრო არდადეგებთან დაკავშირებით დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი ფრიადოსან სტუდენტთა და ასპირანტთა კულტურული დასვენება-გართობისათვის.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში 29 იანვარს დილით გაიმართება დახურული სპექტაკლი „ნაპერწკლიდან“, ხოლო იმავე დღეს დილით გრიბოედოვის სახელობის თეატრში სპექტაკლი „რევიზორი“.

კინო „ოქტომბერში“ 29 იანვარს საღამოს მეორე სეანსზე ნაჩვენები იქნება „ლენინი ოქტომბერში“ და ქრონიკა „ამხანაგ ლ. პ. ბერიას გამოსვლა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე“.

ინდუსტრიულ ანსტიტუტში 31 იანვარს მოეწყობა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა, ფრიადოსან სტუდენტთა და ასპირანტთა შეჯიბრება ჭადრაკში.

სტუდენტები და ასპირანტები გაცხოველებით ემზადებიან ბაკურიანში თხილამურებით გადასვლისათვის.

მოეწყობა აგრეთვე ექსკურსიები გორში, ხალხთა დიდი ბელადის, ამხანაგ სტალინის სახლის დასათვალიერებლად. გარდა ამისა, სტუდენტების ნაწილი გაემგზავრება სოხუმსა და ბათუმში, ხოლო ნაწილი — ბაქოში, მოსკოვში და ლენინგრადში.

ცნობარი — „ქალაქი თბილისი“

უახლოეს დროში გამოსაცემად მზად იქნება ახალი ცნობარი — „ქალაქი თბილისი“. ამ ცნობარში მოცემული იქნება ყველა საჭირო ცნობა თბილისის ქუჩებისა და მოედნების შესახებ (მათი ისტორია, დღევანდელი მდგომარეობა და სხვ.). ცნობარს დართული ექნება ქალ. თბილისის რუკა.

ცნობარის გამოსაცემად შექმნილია სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან თბილისის საბჭოს კომუნალური მეურნეობის, ქალაქის კომუნალური მუზეუმის და ქალაქის მილიციის სამმართველოს წარმომადგენლები.



თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბთან მოეწყო საბავშვო საჭადრაკო სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს უძლიერესი მოჭადრაკე, სპორტის ოსტატი ვ. გოგლიძე.

სურათზე: ბავშვები ვარჯიშობენ ჭადრაკში; შუაში ზის მაესტრო ვ. გოგლიძე.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

გუნდების ხელმძღვანელთა პირველი თათბირი

თბილისში შესდგა ხალხურ მომღერალთა გუნდების ხელმძღვანელთა პირველი სრულიად საქართველოს თათბირი, რომელიც მოწვეული იყო ხელოვნების საქმეთა რესპუბლიკურ სამმართველოს ხალხური შემოქმედების კაბინეტის ინიციატივით.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ყველა სარაიონო და სახელმწიფო გუნდებისა და კაპელის წარმომადგენლებმა, რიცხვით 55 კაცმა. თათბირზე მოსმენილი იყო ხალხური შემოქმედების კაბინეტის დირექტორის გ. კოკელაძის მოხსენება გუნდების მუშაობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ. კამათში გამოვიდა 36 დელეგატი. მათ გაუზიარეს ერთმანეთს თავიანთი გამოცდილება, ილაპარაკეს მიღწევებზე და ნაკლოვანებებზე ცალკე გუნდების მუშაობაში. კერძოდ დელეგატები აღნიშნავდნენ მჭიდრო კავშირის უქონლობას ხალხური შემოქმედების კაბინეტსა და გუნდებს შორის. აღნიშნავდნენ, რომ კაბინეტს არ შეუსწავლია გუნდების ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია, აგრეთვე გუნდების რეპერტუარის მუსიკალური და ტექსტური მასალა. ცოტა ყურადღებას აქცევდნენ გუნდების მონაწილეთა კულტურული დონის ამაღლებასაც. დელეგატებმა ილაპარაკეს აგრეთვე იმაზე, რომ ქართველი კომპოზიტორები არასაკმაოდ არიან ჩაბმული ხალხური სიმღერების და სხვა მასალის ჩაწერის საქმეში.

თათბირზე გამოვიდა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი ამხ. ბ. გოგუა, რომელმაც თათბირს აცნობა სამმართველოს მიერ დასახული ღონისძიებანი გუნდების მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. (საქდესი).

ახალი წიგნები

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობამ გამოსცა შემდეგი წიგნები: „პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას პარტორგანიზაციების შეცდომებზე, საქ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მორიგი პლენუმის დადგენილება)“ — ფასი 30 კაპ.

ემ. იაროსლავსკი — საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ნარკვევი, ნაწ. 1, ფასი 5 მან. 80 კაპ.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახ. პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

29 იანვარს

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიისათვის რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1905—1907 წ. წ.).

კონსულტანტები: რუსულ ენაზე — ამხ. მურაჩაშვილი, ქართულ ენაზე — ამხ. სიმონიშვილი.

დასაწ. საღ. 7 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: მუშათა კლასისა და მშრომელი მასების მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

კონსულტანტები: რუსულ ენაზე — ამხ. კვაჰაძე, ქართულ ენაზე — ამხ. ბოჟაძე.

დასაწყ. საღ. 7 საათზე.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი იუწყება, რომ 29 იანვარს, საღ. 7 საათზე, რაიკომის პარტკაბინეტის ბინაზე, რაიონის პროპაგანდისტებისათვის ქართულ ენაზე შესდგება მოხსენება თემაზე: „სახელმწიფოს შესახებ კომუნიზმის პირველ ფაზაში“.

მომხსენებელი ამხ. ლარცულიანი.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი
ქ. შეროზია.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938 წ. სეზონი
29/I წარმოდგენა 86 ალკაზარ
30/I წარმოდგენა 87 ალკაზარ
1/II წარმოდგენა 88 ნაპერწკლიდან
მორიგი პრემიერა ნ. შიუკაშვილი
„სულელი“
სალარო ღიაა 12 საათიდან
9 საათამდე.
დასაწყ. 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
29/I წარმ. № 90 იცკა რიჟინაშვილი
30/I წარმ. № 91 სამანიშვილის დედინაცვალი
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილ 12-დან საღ. 9 საათ.

სახცირკი. ტელ. 3-11-44
29 იანვარს
ატრაქციონი
ლილიპუტების ჯაზის
უკანასკნელი 2 გამოსვლა
მ. მ. ვერბიცკაიას მონაწილეობით.
აგრეთვე ახალი საცირკო პროგრამა.
სიმანოვი და ორეშკინი, ჩებულოვები,
სიმადო, როგალსკი და სხვ.
დასაწყისი 8 ს. 30 წ.
სალარო ღიაა 12-დან 2 ს-მდე და 5 ს-დან.
30 იანვარს ორი წარმოდგენა დღისით.
უკანასკნელად გამოდის ლილიპუტების
ჯაზი.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
29/I მუდმ. ადგ. ტალ. № 89 აბესალომ და ეთერი
30/I ერთდრ. ტალ. № ა დღისით რიგოლეტო დასაწყ. 12 საათზე.
30/I მუდმ. ადგ. ტალ. № 90 საღამოს დაისი
დასაწყისი საღ. 8 საათზე
მეორე წყების მუდმივი ადგილების ტალონები დარიგდება 1 თებერვლიდან. მიმღებს შემოტანილი უნდა ჰქონდეს 1, 2 და 3 გადასახადი.

ესტრადის თეატრი
პლეხანოვის პროსპ., 123. ტელ. 3-02-29
29 იანვარს
ტალონი № 28
ესტრადის საღამო
ახალი პროგრამა
დაწვრილებით აფიშებში
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.
ბილეთები იყიდება
„ჯაზ-ოპერეტის“
მოსკოვის ანსამბლის გასტროლები
1 თებერვალს ტალონი № 31
I. როზ-მარი. II. ჯაზ-კონცერტი
2 თებერვალს ტალონი № 32
I. მონა-ქალი. II. ჯაზ-კონცერტი
3 თებერვალს ტალონი № 33
I. სასძლოთა ბაზრობა
II. ჯაზ-კონცერტი
დაწვრილებით აფიშებში.
ბილეთები იყიდება
დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.
30 იანვარს საღამო ალმ. საქ. სახელმწ. გუნდი ს. კავსაძის ხელმძღვანელობით.
17624

ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაისახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ნ. ი. იზორია ამით აცხადებს, რომ 1938 წლის 31 იანვარს, დღის 1-ლ საათზე, ბრძოლის ქუჩაზე (იპოდრომის გვერდით)
საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის
სამტრესტის ხე-ტყის ქარხნის შემდეგ ქონებას:
25 ხის კასრი მუხის (1250 დეკალიტ.). ქონება შეფასებულია 4.000 მანეთად და გაიყიდება თბილისის სახელმწიფო იპოდრომის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქ. სახ. არბიტრაჟის მიერ 1/11—37 წ. № 3/1339 ბრძანებისა.
17623

ა. დ. ქლენცი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8 17278

ვალიკო და გუგული ოდიშარიები იუწყებიან, რომ დაუვიწყარი პატარა
თამაზიკო ოდიშარიას
ხსოვნის აღსანიშნავად ა/წ. 30 იანვარს, დღის 2 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი.

შალვა ბუაჩიძე

„ვეფხის-ტყაოსნის“ მხატვრული კითხვა

„მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ საჯარო კითხვა ჩვენთვის აუცილებელია... ჩვენში უნდა შეიქმნენ დახელოვნებული წამკითხველები... მე იმასაც კი ვფიქრობ, რომ საჯარო კითხვა დროთა ვითარებაში შესცვლის ჩვენში სპექტაკლებს... მაგრამ მხოლოდ დახელოვნებულ წაკითხვას შეუძლია მოგვცეს პოეტებზე ნათელი წარმოდგენა“.

ეს სიტყვები ეკუთვნის ნ. ვ. გოგოლს. დიდ რუსი მწერალი ფიქრობდა, რომ წამკითხველად უნდა გამოვიდეს ისეთი მსახიობი, რომელსაც შეუძლია გადმოგვცეს იმ ნაწარმოების ყველა შეუმჩნეველი მხარეები, რომელსაც ის კითხულობს. „ეს წაკითხვა,—ამბობდა ის,—სრულიადაც არ იქნება მყვირალა, არამედ წამკითხველის ხმაში გამოჩნდება უცნობი ძალა, ნიშანი ნამდვილი შინაგანი მღელვარებისა. ეს ძალა გადაეცემა ყველას და სასწაულს მოახდენს: აღელდებიან ისინიც კი, ვინც არასოდეს არ აღელვებულა პოეზიის ხმებისაგან“.

ამის გახსენება განსაკუთრებით ძვირფასია ახლა, როდესაც მთელი საბჭოთა კავშირი ზეიმით აღნიშნავს ქართველი ხალხის გენიალური პოეტის — შოთა რუსთაველის უკვდავი ნაწარმოების „ვეფხის-ტყაოსნის“ 750 წლისთავს.

შოთა რუსთაველის პოემის პოპულარიზაციის საქმეში მხატვრულ კითხვას შეუძლია უდიდესი სარგებლობის მოტანა. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა გასწია მხატვრული კითხვის ოსტატმა სურენ კოჩარიანმა. მის წინაშე მეტად რთული და პასუხსაგები ამოცანა იდგა: გადაემუშავებინა პოეტის უკვდავი ქმნილება ისე, რომ ერთი ლიტერატურული კონცერტის განმავლობაში მიეცა მსმენელისათვის სრული წარმოდგენა პოემაზე, მის დიად სილამაზეზე, პოეტის ფილოსოფიური აზროვნების სიღრმესა და გაქანებაზე და ამასთანავე დაეცვა ნაწარმოების არქიტექტონიკის მთლიანობა, სიუჟეტურ განშტოებათა სისრულე; ამავე დროს საჭირო იყო სიტუაციების დრამატურგიულად გამახვილება, მათ განვითარებაში დინამიურობის შეტანა.

ორი წლის მუშაობის შედეგად სურენ კოჩარიანმა მიაღწია „ვეფხის-ტყაოსნის“ ისეთ ლიტერატურულ კომპოზიციას, სადაც ნაწარმოების ძირითადი ფაბულა, მისი თხრობის აღნაგობა, თვით სტილი თხრობისა დარღვეული არ არის. ს. კოჩარიანმა გადააჯგუფა პოემის არა მარტო ცალკე თავები, არამედ ცალკე სტროფებიც. ამის შედეგად უმნიშვნელოდ შეიცვალა ტონი და ფერები პოემის გმირთა დახასიათებაში. ს. კოჩარიანი „ვეფხის-ტყაოსანს“ კითხულობს რუსულად პანტელეიმონ პეტრენკოს მშვენიერი თარგმანის მიხედვით. მისი ლიტერატურული კომპოზიცია შეიცავს 750 სტრიქონს პოემის 7 ათასი სტრიქონიდან.

ბუნებრივია, ლიტერატურულ კომპოზიციას, რომელიც გათვალისწინებულია ერთი წამკითხველის ძალისათვის ერთი საღამოს განმავლობაში, არ შეეძლო დაეტია პოემის ყველა შესანიშნავი ადგილები. ამის გამო კომპოზიციაში ვერ შევიდა ისეთი თავები, როგორიც არის ავთანდილის ანდერძი, მისი ლოცვა, მიმართვა მნათობებისადმი და ზოგიერთი სხვა, რომელთაც, მართალია, არა აქვთ უშუალო როლი მოქმედების განვითარებაში. მაგრამ რომლებიც შესანიშნავია პოეტის აზრთა სიღრმის მხრით. სურენ კოჩარიანი იძულებული იყო გულისტკივილით უარი ეთქვა ამ ნაწყვეტებზე, რამდენადაც ისინი არ არიან წამყვანი და გადამწყვეტ როლს არ თამაშობენ სიუჟეტის განვითარებაში.

მაგრამ ს. კოჩარიანი გრძნობდა, რომ ამ უძვირფასესი ადგილების გარეშე, რომლებშიაც თავმოყრილია პოეტის გენიალური აზრები გმირობისა, მეგობრობისა, სამშობლოსადმი სიყვარულისა, მოღალატეებისადმი სიძულვილისა, ურთიერთისადმი თავდადების შესახებ, არ არსებობს საერთოდ პოემა „ვეფხის-ტყაოსანი“, ამიტომ მან ცალკე მოამზადა საკონცერტო შესრულებისათვის ნაწყვეტი პოემიდან „ავთანდილის ანდერძი“. ეს რამდენიმედ მაინც შეავსებს ხარვეზს ს. კოჩარიანის ლიტერატურულ კომპოზიციაში, რომელიც მთლიანად ფრიად საინტერესო და ძვირფასი ლიტერატურული ნამუშევარია.

თავისი გამოსვლები სურენ კოჩარიანმა დაიწყო ერევნიდან, სადაც მისმა ლიტერატურულმა კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ამჟამად ს. კოჩარიანი გამოდის თბილისში, სადაც უკვე მოეწყო 30-ზე მეტი კონცერტი. მის გამოსვლებს დიდი ინტერესით ხვდებიან როგორც სპეციალისტები, რუსთაველის პოემის მცოდნენი, ისე მშრომელთა ფართო მასები — მოსწავლეები, სტუდენტები, ინტელიგენცია.

როგორც უკვე ვთქვით, ს. კოჩარიანი პოემას კითხულობს რუსულ ენაზე, პ. პეტრენკოს თარგმანით. მთელი თხრობა მას მიჰყავს ლექსად, ზეპირად. მხოლოდ ცალკე ადგილებში, შინაარსის მოკლედ გადმოცემისათვის, ის იძულებულია მიმართოს პროზაიკულ თხრობას. პროზა რიტმიულია და მსმენელი ვერც კი ამჩნევს კითხვის ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლას.

— რუსთაველის გენიალური პოემის ნამდვილმა ხალხურმა ხასიათმა მიკარნახა მე მისი მხატვრული გადმოცემის ხალხური ფორმაც, — ამბობს სურენ კოჩარიანი. — ყველა დროისა და ხალხის სახალხო მომღერლები, მათ რიცხვში ამიერკავკასიის აშუღებიც, ჩვეულებრივ თხრობას აწარმოებენ პროზით, უფრო საინტერესო ადგილებს კი ლექსად ამბობენ. მეც ასე ვიქცევი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ თხრობის მთელ ძირითად ნაწილს ლექსად ვამბობ. პროზით კი აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რასაც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ფაბულის თვალსაზრისით.

ს. კოჩარიანის მთელი კომპოზიცია იყოფა სამ ნაწილად, რომლებიც კონცერტის სამ განყოფილებას შეადგენენ. კოჩარიანი კითხულობს დამჯდარი, ერთხელაც არ ადგება სავარძლიდან. სარგებლობს რა სცენიური შესრულების ფრიად განსაზღვრული საშუალებებით (ხმა, მიმიკა), მსახიობი ამავე დროს დიდ ემოციურობას აღწევს. ამაშია მისი მაღალი არტისტული ოსტატობა.

ს. კოჩარიანს კარგად აქვს გაგებული რუსთაველის თხრობის სტილი. ის საუცხოოდ გადმოგვცემს პოემის ეპიურ ხასიათს, მის ღრმა ლირიზმს, მის პათეტიკას, დრამატიულ დაძაბულობას, მთავარი გმირების დახასიათებას.

— თუ წამკითხველი ოც წუთზე მეტს კითხულობს, საზოგადოება მას უკვე აღარ უსმენს. ნახევარ საათს ვერ გაუძლებს ვერცერთი მსმენელი, — ამბობდა ფ. დოსტოევსკი. ს. კოჩარიანი კი საათნახევარს კითხულობს პოემას და აუდიტორია სულგანაბული უსმენს მას. მსახიობი ყველაზე მეტ შემოქმედებით აღტყინებას აღწევს თავისი კომპოზიციის მეორე ნაწილში, სადაც ტარიელის და ნესტან-დარეჯანის სასიყვარულო დრამა უმაღლეს წერტილს აღწევს. კერძოდ, ტარიელის ბრძოლა ლომთან და ვეფხთან კოჩარიანის მიერ გადმოცემულია უმაღლესი არტისტული ოსტატობით. ბევრ სითბოს და გულწრფელობას აქსოვს მსახიობი ნესტან-დარეჯანის წერილის გადმოცემაში.

ს. კოჩარიანი, გრძნობს რა ნაკისრი ვალდებულების პასუხისმგებლობას, დიდ მოთხოვნილებას უყენებს თავის ნამუშევარს. მან სთხოვა ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის თბილისის ინსტიტუტს განეხილა „ვეფხის-ტყაოსნის“ მისი ლიტერატურული კომპოზიცია და თავისი დასკვნა მიეცა ამ საკითხზე.

ინსტიტუტმა გამოჰყო კომისია პროფ. ვ. ბერიძის, პროფ. ა. შანიძის, პროფ. არნ. ჩიქობავას, პროფ. ვ. თოფურიას, პროფ. ს. ჯანაშიას და დოც. ნ. ბერძენიშვილის შემადგენლობით.

კომისიამ ს. კოჩარიანის ლიტერატურული კომპოზიცია ფრიად ძვირფას, სასარგებლო და მაღალკულტურულ შრომად აღიარა. კომისიამ აღნიშნა, რომ პოემის კომპოზიცია ძირითადად გაკეთებულია მოხერხებულად და გათვალისწინებულია აუდიტორიის ათვისების შესაძლებლობა ასეთი დიდი ნაწარმოების მოსმენის დროს. გადასვლები პოეტური ტექსტიდან პროზაიკულზე და პირიქით გაკეთებულია მოხდენილად, დიდი ტაქტითა და უნარით.

ამასთანავე კომისიამ მისცა სურენ კოჩარიანს ზოგიერთი მითითებანი, რომლებიც ავტორმა მიიღო სახელმძღვანელოდ.

რაც შეეხება შესრულებას, კომისიამ სცნო, რომ მეტყველების ტექნიკის, მიმიკისა და ჟესტის მხრით სურენ კოჩარიანის კითხვას ახასიათებს მაღალი ოსტატობა. კითხვის დამაჯერებლობა, ლოგიკური პაუზები, ნათელი და გარკვეული გამოთქმები, დიდი ემოციურობა და ტემპერამენტი ხელს უწყობენ, რომ მსმენელმა აითვისოს შოთა რუსთაველის დიადი ქმნილების დრამატიზმი და გმირულ-რომანტიკული ხასიათი.

„ვეფხის-ტყაოსნის“ პოპულარიზაციის საქმეში, — ამბობს თავის დასკვნაში კომისია, — ს. კოჩარიანის შრომას შეუძლია მოგვცეს და მოგვცემს კიდეც მნიშვნელოვან შედეგებს.

პოემის უფრო ფართო პოპულარიზაციისათვის კომისიამ საჭიროდ სცნო: კომპოზიციის ცალკე ნაწყვეტების ჩაწერა გრამოფონის ფირფიტებზე, სასწავლო და მხატვრული კინო-ფილმის დამზადება, რომელიც გადმოგვცემს პოემის კითხვას ს. კოჩარიანის მიერ, ფილმის შესაფერი მხატვრულ - ისტორიული გაფორმებით; ტონფილმის დამზადება ს. კოჩარიანის კითხვის რადიოგადაცემისათვის; ს. კოჩარიანის კომპოზიციის გამოცემა ზოგიერთი დამატებებით (ავთანდილის ანდერძი და სხვ.) წამკითხველ - დეკლამატორებისათვის.

* * *

ს. კოჩარიანს გადაწყვეტილი აქვს „ვეფხის-ტყაოსნის“ მხატვრული კითხვით გამოვიდეს საბჭოთა კავშირის ყველა მსხვილ ცენტრში, თბილისიდან დაწყებული შორეულ აღმოსავლეთამდე. ახლო მომავალში მისი კონცერტები გაიმართება ბაქოში, კიევში, ხარკოვში, მოსკოვში, ლენინგრადში.

◆

მისამართი: რედაქციის — ტბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—5761, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—23—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის, ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 1411